# საქართველოს რესპუბლიკა

> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 2009 წელი.

№ 154 (6255)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

## ხელისუფლების სადირექტორო შოუ, რომლის პიკიც... გია ჭანტურიაა!




ჯერ იყო და, ხელისუფლებამ თამარი „შეაფრინა“, კინწურაშვილი, მაუწყებელში, მერე ლევანი „შეაძვრინა“, ყუბანეიშვილი, არხში... ახლა ვითომ ახალი კონკურსია გამოცხადებული, რომელმაც კიდევ ერთი ახალი დირექტორი უნდა გამოჩეკოს. მერედა, არ იცით, როგორ? როგორ და, სამეურვეო საბჭოში ანუ ბორდში, რომელიც დირექტორს ირჩევს, რვავე წევრი ხელისუფლების მხარდამჭერია... რომელთაც რასაც ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია ეტყვიან (ცხადია, საავაშვილთან მოლაპარაკების შემდეგ) დირექტორიც ის იქნება, ანუ გია ჭანტურია!

მაშ, რაღას აწვალებთ, თქვე კაი ხალხო, ან იმ რვა ბორდის წევრს, ანდა მოლოდინით გატანჯულ 16 დირექტორობის კანდიდატს?! ამას ვითომ გაპატიებთ თუნდაც მარტო ეროსი კიწმარიშვილი?!

შემირცხვენია „რუსთავი-2“-ის „კომედი-შოუც“ და „იმედის“ ღამის შოუც იმ მრავალწლიან „დირექტორ-შოუსთან“, რასაც ჩვენი ხელისუფლება „გვაშოუებს“ დროდადრო საზოგადოებრივი მაუწყებლის, ანუ პირველი არხის ახალი გენერალური დირექტორის ვითომ არჩევის გამო.



## ქვეყანას მხოლოდ ერთი ძალა უტევს - ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ②

## SOS!



## — შთამომავლობა ⑤ ნადგურდება!



## პატიმრების გაუსაძლის მდგომარეობას საკვების სიმცირეც ⑦ ემატება

## ჯანდაბასა და დოზანას შუა გამოკიდებული ქვეყანა ⑥



ზუგდიდელები სამეგრელოს „მონსტრს“ – როლანდ ახალაიას კლანს დაუპირისპირდნენ!



## ◎ რა გვეშველება?

ეს წერილი ყოველგვარი ლიტერატურული შესავლების გარეშე უნდა დავიწყო, რადგანაც ძალიან საოცარი ფრაზა თქვა მიხეილ სააკაშვილმა საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში.

მან განაცხადა: „ის რომ ჯერ თავის ოფისშია, სასწაულებრივი ხსნის ისტორიას წარმოადგენს“.

ვეთანხმები ბატონ სააკაშვილს და გავიმეორებ, რომ ნამდვილად სასწაულია, რომ კვლავ თავის ოფისშია. ნამდვილად სასწაულია.

მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ რომ ვთქვა, ეს ფრაზა, ყოველგვარი ირონიის გარეშე დავწერე-მეთქი, დამიჯერებ?

არ დამიჯერებ და მართალიც იქნები.

არადა მართლაც უამრავი გარეშე ძალა უტევს საქართველოს. უამრავი უცხო და სხვადასხვა სახის ძალა.

დაწყებული რუსების მიერ ჩარჭობილი სამი ბოძიდან, გაგრძელებული H1N1 ვირუსით და დამთავრებული დიდი წვიმებით. ყველა ჩვენს წინააღმდეგაა მომართული (აღარაფერს ვამბობ სფერულ ელვაზე, რომელიც რუსების „სტოლბებისა“ არ იყოს, უკვე აღარ გვაწუხებსძ.

ისმის უმარტივესი კითხვა: — რა უნდა ქნან ასეთი „შემოტევების“ დროს საქართველოს ხელისუფლების წევრებმა?

პასუხიც საკმაოდ მარტივია: — უნდა გავიდნენ მოსახლეობაში და მთელი ძალისხმევა მიმართონ სიტუაციის გამოსასწორებლად. დიახ, სწორედაც რომ გამოსასწორებლად, რადგანაც სიტყვა „დარეგულირება“ ამ შემთხვევაში, ყოვლად უადგილოა.

ჰოდა სიტუაციის გამოსწორებისაკენ, ხელისუფლების მიერ გადადგმულ „ნაბიჯებს“ „ეძღვნება“ ეს ნოველები.

# ქვეყანას მხოლოდ ერთი ძალა უტევს – ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება

## 3. „დაიცავი საქართველო“

### ნოველა V „დიდი გასეირნება“

**მას შემდეგ, რაც საქართველოს საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და პარლამენტში საზაფხულო არდადეგები გამოცხადდა, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონების ველ-მინდვრები და პლაჟები ბავშვების ჟრიამულმა აავსო.**

უფრო ზუსტად, რომ ვთქვა, ძირითადად საქართველოს პარლამენტის წევრები მოედვნენ ზღვისპირა რაიონებს.

აბა სკოლის მოსწავლეების და სტუდენტების მშობლებს სად შეუძლიათ პრეზიდენტის მიერ ბათუმში გახსნილ მორიგ სასტუმროში დღეში 60 ლარის გადახდა.

არა, ძვირფასო მკითხველო, ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ ჩვენი ხელისუფლება საქართველოს ზღვისპირეთს გასართობად ან დასასვენებლად „სტუმრობენ“.

როგორ გეკადრებათ. ისინი იქ საჭირბოროტო მიზეზების გამო, ანუ ამომრჩევლებთან შესახვედრად და მათი ჭირ-ვარამის გასაზიარებლად ჩადიან.

პრობლემების შესახებ ინფორმაციის, უშუალოდ პირველი წყაროდან მისაღებად, თორემ ამ ჩვენს კანონმდებლებსა და მთავრობის წევრებს წყლის დანახვა და ჭყუმპალაობა რომ სწყუროდეთ, ამ დღეებში ისეთი წვიმები იყო ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონებში, რომ ნამდვილად დაზოგავდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით რატომღაც მხოლოდ ჩვენთან გაძვირებულ ბენზინს და აქვე ახლოს, სოფელ ქესალოს გაჭედილი არხის პირას გაირუჯებოდნენ.

ასე რომ ისინი ყოველგვარი გვერდზე გადახრების გარეშე, ურყევად მისდევენ სააკაშვილის მიერ დასახულ კურსს და მოსახლეობასთან შეხვედრებს ზღვისპირა კურორტებიდან, უკაცრავად, რაიონებიდან იწყებენ.

რა თქმა უნდა, ამ კურსს შემოდგომაზეც არ გადაუხვევენ და რთველისა და ე.წ. „ღორის ძღეხების“ დღეებში, კახეთს ეწვევიან, ტელეკამერების წინ ცოტას წაიკეკლუცებენ, ყურძნით სავსე ერთი-ორ მსუბუქ ვედროს ჩაცლიან „გრუზავიკში“ და მომავალი წარმატებების სადღეგრძელოსაც დალევენ.

ზამთარში გუდაურსა და ბაკურიანში დაესწრებიან გასვლით სხდომებსა და ე.წ. „ტრენინგებს“.



გაზაფხულზე კი ადგილობრივ არჩევნებს ჩაატარებენ.

მოკლედ რომ ვთქვა, ქვეყნის მართვა კი არა, „სპლაშნოი“ „დიდი გასეირნებაა“ საქართველოში.

სამწუხაროდ, მხოლოდ დიდი გასეირნება.

არადა ლუი დე ფიუნესისა და ბურვილის გმირების „დიდი გასეირნებისგან“ განსხვავებით, მათი „მოძრაობა“, მხოლოდ სეირნობაა და მეტი არაფერი.

### ნოველა VI „ტელემარათონი 2009“

**სანამ ე.წ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი დირექტორის დანიშვნას შევეხები, სხვადასხვა „კურიერებში“ გადმოცემულ ურთიერთგამომრიცხავ სიუჟეტებს უნდა შევეხო.**

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ რუსთავი 2-ისა და „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებები, თავისუფალი სიტყვის, დემოკრატიულობისა და პირუთვნელობის სანიმუშო მაგალითებს წარმოადგენენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ სიუჟეტში, რომელშიც ხელისუფლების უყურადღებობით გამოწვეულ ზარალსა და მოსახლეობის გაუსაძლის ყოფაზეა საუბარი, ცვლის მეორე სიუჟეტი, რომელშიც ქვეყნის აღმშენებლობასა და უდიდეს ეკონომიკურ ნახტომზე გვესაუბრება ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსანი, საკმაოდ მაბნევს.

ბევრი ვიფიქრე, რათა ამ „მეტად უცნაური მოვლენისთვის“, რაღაც პასუხი მაინც მომეძებნა.

რადგანაც თავისუფალი სიტყვის პრინციპების დაცვა თავიდანვე გამოვრიცხე, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, სოფიზმის მიმდევრები ხომ არ არიან-მეთქი, მაგრამ რადგანაც სოფიზმი, თავის თავში არა მხოლოდ ნიჭს, საკმაოდ ძლიერ ლოგიკასაც გულისხმობს, მაშინვე უკუვაგდე ეს აზრი და, სამწუხაროდ, მხოლოდ უცოდინრობა და მისგან გამომდინარე ცინიზმი შემრჩა ხელთ.

არადა ძალიან ამაზრზენად ჩანს სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობაზე „კურიერებში“ გადმოცემული სიუჟეტების შემდეგ ქვეყნის პირველი პირისა და აჭარის რეგიონის ხელმძღვანელის მიერ, საშინელი „პერეიგროვკითა“ ყალბი პათოსით ნათამაშები, ქვეყნის მოჭირნახულე ხალხის როლები.

ძალიან ამაზრზენად ჩანს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთ სიუჟეტში დატბორილი სახლები, წლობით გაუწმენდავი არხებია, მეორე სიუჟეტში კი ბათუმის შემხედვარე „ბარსელონა და საფრანგეთის სამხრეთ სანაპირო“, „შურით სკდება“.

კარგით რა, ხალხო! მართალია, „თავხედობა გოდოლებს ანგრევსო“, მაგრამ ცოტა მაინც შებრცხვეთ იმ გაუბედურებული ხალხის, რომლებსაც უკანასკნელი სარჩო-საბადებელი წყალში ჩაეყარათ. ცოტა მაინც შებრცხვეთ იმ ხალხის, რომლებსაც სამოცი ლარი ერთიანად კარგა ხანია არ უნახავს.

რაც შეეხება ე.წ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მომავალ დირექტორს:

ნამდვილად არ დავიწყებ კანდიდატთა მიერ „წარმოდგენილი“, ტელევიზიის „ასაღორძინებელი პროგრამების“ განხილვას, რადგანაც ამ რამდენიმე ხნის წინათ, ეროსი კიწმარიშვილს ისე ესროლეს „პასტა“ და ლალი მოროშკინაც ისე „ჩააკარტოჩკეს“ პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე, რომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ე.წ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი გია ჭანტურია იქნება.

როგორც ოპოზიცია გვპირდება, საპროტესტო აქციები შემოდგომიდან უნდა განახლდეს. რადგანაც ჩვენი ოპოზიცია, ჯერჯერობით მხოლოდ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდისა (მაგარია „ბორდი“. „სმაილიკების“ დაწერის საშუალება რომ მქონდეს, რას ვიხალისებდიძ და გენერალური დირექტორის შეცვლის მეტს ვერაფერს ახერხებს, ე.ი. გია ჭანტურიას სავარაუდოდ გაზაფხულზე შეცვლიან.

მანამდე კი... (აუ, რა ცუდია „სმაილიკებს“ რომ ვერ ვწერძ.

ისევ წერილის დასაწყისს დავუბრუნდები და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა სახის „შემოტევებზე“ გამოვთქვამ ჩემს მოკრძალებულ აზრს:

მე მგონი საქართველოს მხოლოდ ერთი ძალა უტევს და ეს ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებაა.

საოცარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლოდან ასე ჩანს.

**გია გაბრიჭიძე**

## ◎ გლობალიზაცია

# მრავალპოლუსიანი მსოფლიო და ჩვენ

**გლობალიზაციის გარდუვალობას, რომლის ბუნდოვანი კონტურებიც კი, ჯერჯერობით არ ჩანს, ბევრი წინასწარმეტყველებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ საუკუნეში მსოფლიოში ჩამოყალიბდეს ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა, ერთიანი მთავრობა. გასულ საუკუნეში უკვე იყო გლობალიზაციის ორი, მსოფლიოს სოციალისტურად და ფაშისტურად მოწყობის მცდელობა. ორივე კრახით დასრულდა. არავინ იცის როგორი იქნება მსოფლიო XXI საუკუნეში და მასზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა თუ შეიძლება. ჩვენი თვალთახედვით მომავალი მსოფლიოს სახეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკა და რელიგია განსაზღვრავს.**

სავარაუდოა, რომ მსოფლიო უფრო თანასწორუფლებიანი, მოწესრიგებული იქნება.

XX საუკუნე ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიით დასრულდა. მართალია, XXI საუკუნის დასაწყისში მას ბზარები გაუჩნდა, მაგრამ მსოფლიოს ფინანსური, ინტელექტუალური და სხვა რესურსების დიდი ნაწილი მაინც ამ ქვეყანაშია განთავსებული და მას უახლოეს ათწლეულებში პირველობის დაკარგვა არ ემუქრება. ჩვენ არ ვიცით რას არ აწყენინებს ამერიკა რუსებს, ეს ხელისუფლების ამოსახსნელი ამოცანაა.

რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ჯერ უნდა აღდგეს რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა და შემდეგ დაიწყოს მოლაპარაკება ახალგორისა და სხვა რეგიონებიდან ჯარის გაყვანის თაობაზე. დამაფიქრებელია, რომ რუსეთის მთავრობა ლაპარაკობს არა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან, არამედ ლოკალური ადგილებიდან ჯარის გაყვანის შესახებ. ასევე, ერთობ დამაფიქრებელია რუსეთის პრეზიდენტის მედვედევის ჩასვლა ცხინვალში.

წარმატებული და იმედის მომცემი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი თბილისში. მან განაცხადა, რომ ამერიკა დაეხმარება საქართველოს მომავლის აშენებაში, მხარს დაუჭერს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, არასოდეს ცნობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობას და მოუწოდებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს არ აღიარონ ამ რეგიონების დამოუკიდებლობა.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები მოსკოვში დევს. ჩვენი მეზობელი სომხეთი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთის სტრატეგიული პარტნიორიცაა, აშშ-ს მეგობარიც, საიდანაც დიდ დახმარებასაც იღებს და, ამავე დროს, ამერიკის უპირველეს მტერთან ათწლეულებში პირველობას ვერავინ ეცილება. თუმცა, მსოფლიოში გამოჩნდა ახალი პოლუსების კონტურები: ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი... ისინი ძლიერ ცენტრებად ყალიბდებიან, მსოფლიო მრავალპოლუსიანი ხდება. მიმდინარეობს ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის სფეროების გადანაწილება და ამ გადანაწილებისას საქართველო საქართველოდან იდევნება.

როცა ისლანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, იქ მცხოვრები დანიელები ისლანდიელ ხალხად ჩამოყალიბდა. მაგრამ, რატომ მოხდა, რომ საქართველოში — აფხაზეთში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ქართველები წარმოადგენდნენ, ქართველებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან XX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზი ხალხი ჩამოყალიბდა; ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან საქართველო განიდევნა. ამ უდიდესი დანაშაულის გამო კი, პასუხი არავის უგია!




ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისას გაირკვა, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის საქართველოს მიმართ მოხდა ერთგვარი გარიგება, რასაც მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის იმედისმომცემი ვიზიტი საქართველოში. ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოსკოვში განაცხადა, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მანვე აღნიშნა, რომ ამერიკა რუსეთს არ აწყენინებს. ჩვენ არ ვიცით საქართველოსთან მიმართებით რა სწყინს — ის ხომ არა ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობა რომ აქვს?

**დროა, ჩვენც, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთთან მომგებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა დავამყაროთ, რისთვისაც საჭიროა მოიძებნოს კავკასიის რეგიონში რუსეთ-საქართველოს ინტერესთა თანხვედრის წერტილები, რათა ქვეყანას თავიდან ავაცილოთ მოსალოდნელი საფრთხეები.**

**დაპირისპირებას მსოფლიოში სიკეთე არავისთვის მოუტანია.**

**გივი მიქიაშვილი**

◉ ერთადერთი გზა ჩვენი ეკონომიკური გაძლიერებაა!



***საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ ესაუბრა საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის დოქტორს, ექსპერტს კავკასიის საკითხებში, ყოფილ დიპლომატს გიორგი მამულიას.***

# გიორგი მამულია: რუსეთმა არჩევანი არ დაუტოვა!..

**— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის საქართველოში ვიზიტს და მის შედეგებს?**

— ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბაიდენის საქართველოში ვიზიტმა მთავარი შიში მოხსნა. მხედველობაში მაქვს ექსპერტთა გარკვეული ნაწილის ეჭვები იმის შესახებ, რომ პოლიტიკური „გადატვირთვა“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის საქართველოს ხარჯზე განხორციელდებოდა. ამ ვიზიტის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეს შიში საფუძველს არის მოკლებული, საქართველო რჩება ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ დასაყრდენ წერტილად რეგიონში და, შესაბამისად, აშშ საქართველოსადმი მხარდაჭერას განაგრძობს. ბაიდენი ძალიან გულახდილი იყო. მნიშვნელოვანია ასევე მისი განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ ეხმარებოდა საქართველოს და გააგრძელებს ამ დახმარებას, მათ შორის – სამხედრო სფეროში, ასევე ის, რომ საქართველო უნდა იყოს ერთიანი და მოხდეს მისი ნატოში ინტეგრირება. რა თქმა უნდა, ბაიდენის განცხადებები რუსეთისთვისაც იყო განკუთვნილი.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ აშშ საქართველოს სამხედრო დახმარებასაც გაუწევს. რა სახის შეიძლება, აღმოჩნდეს კონკრეტულად ეს დახმარება?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზება, ანუ, საბოლოო ჯამში, მათი ნატოს სტანდარტებთან მიახლოება. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთთან მიმართებაში ქართული ჯარი არ იყო სრულყოფილი. ჩვენი ჯარი ძირითადად სამშვიდობო მისიებისთვის და ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ანუ, სამხედრო-პოლიციური ოპერაციებისთვის იყო მომზადებული. ეს, რა საკვირველია, სავსებით საკმარისი იყო ოსი ან აფხაზი ბანდფორმირებების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი თანამედროვე არმიის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომისთვის, რომელმაც ჩვენს წინააღმდეგ მასიურად გამოიყენა ავიაცია და მძიმე შეტევითი ტექნიკა. ამიტომ, ჩემი აზრით, აქცენტი გაკეთდება ამ ხარვეზების გამოსწორებაზე, კერძოდ, სრულყოფილი საჰაერო თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებაზე და ისეთი გაწრთვნილი საჯარისო ნაწილების შექმნაზე, რომლებიც ეფექტურად შეძლებენ მტრის მძიმე ტექნიკის შეჩერებას. ჩემი აზრით, სწორედ ამ ყველაფერზე მოხდება ამერიკელების კონცეტრაცია, რაც აუცილებელი წინაპირობაა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სტანდარტებთან მიახლოებისათვის.

**— რაც შეეხება შიდა პოლიტიკას, რა მინიშნებები იყო გაკეთებული, ხელისუფლების და ოპოზიციის მისამართით?**

— ამ კუთხითაც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მან ოპოზიციას პირდაპირ მოუწოდა, ყველა საკითხი პარლამენტში გადაჭრას და არა ქუჩაში. აუცილებელია ოპოზიციის პარლამენტში შეყვანა და პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა დახეული მანდატების აღდგენის შესახებ სწორედ ამერიკელებთან ბაიდენის ვიზიტამდელი კონსულტაციების შედეგია. ეს ყველაფერი სწორედ იმ სტანდარტებს პასუხობს, რომელიც ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნებისთვისაა საჭირო. თუმცა ბაიდენს მხოლოდ ოპოზიციის მისამართით არ გაუკეთებია მინიშნებები. სხვათა შორის, მინიშნებები ხელისუფლებისთვის მის ვიზიტამდეც კეთდებოდა და გარკვეულწილად ხელისუფლებამ გაითვალისწინა კიდეც აშშ-ის რეკომენდაციები. სააკაშვილის დღევანდელი პოზიცია სწორედ აშშ-სთან მოლაპარაკებების შედეგია. რა თქმა უნდა, აუცილებელია თავისუფალი პრესა, რომ მედიას მიეცეს საშუალება, სრული და თავისუფალი ინფორმაცია მიაწოდოს ქართულ საზოგადოებას. ვფიქრობ, ამ მესიჯის ერთ-ერთ კონკრეტულ შედეგად შეიძლება, ჩაითვალის ტელეკომპანია „მაესტროსთვის“ სატელიტური სიხშირის გამოყოფა. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ვაშინგტონთან საკმაოდ სერიოზული კონსულტაციები მიმდინარეობდა.

**— მუდმივად გვესმის, რომ ოპოზიციის ნაწილი რუსეთის მიერ იმართება... როგორ ფიქრობთ, თუ ეს მართლა ასეა, რატომ არ მოქმედებს ადეკვატურად ხელისუფლება და ამ დრომდე არ ხდება მათი დაკავება?**

— ეს იმ მძიმე შეცდომების შედეგია, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ დაუშვა. მანიფესტაციების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომელიც ხელისუფლებამ რამდენიმე კვირის წინ მიიღო, ბევრად ადრე იყო მისაღები. ამ კანონის მიღება დღეს, რაოდენ სამართლიან მოთხოვნებსაც არ უნდა შეიცავდეს იგი, ისე გამოიყურება, როგორც ხელისუფლების მცდელობა ჩაახშოს ოპოზიციური პროტესტი. კანონი ხელისუფლებას მაშინ უნდა მიეღო, როცა პრეზიდენტ სააკაშვილს უფრო მაღალი რეიტინგი ჰქონდა საზოგადოებაში და დღევანდელ ოპოზიციონერთა უმრავლესობა სააკაშვილის მთავრობის წევრები იყო. ხელისუფლება გამოდიოდა ყოველდღიური, მოკლევადიანი კონიუნქტურიდან და არ ფიქრობდა გრძელვადიან, ხანგრძლივ სახელმწიფოებრივ მომავალზე და ინტერესებზე! შედეგსაც შესაბამისს ვიმკით!

**— ბოლო დღეებში დაიწყო აქტიური საუბარი იმის შესახებ, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შესაძლოა, ამერიკული კომპონენტი დაემატოს. როგორ ფიქრობთ, მოსკოვის გალიზიანების გათვალისწინებით, რამდენად რეალურია, აშშ-მა ამ საკითხში დადებითი გადაწყვეტილება მიიღოს?**

— ჩემი აზრით, ამ იდეის განხორციელება სავსებით რეალურია და მოსალოდნელი. რუსეთმა თავისი ხისტი და არაკონსტრუქციული პოზიციით, საქართველოში გაეროსა და ეუთოს მისიების დაბლოკვით ევროპელებსა და ამერიკელებს სხვა ალტერნატივა არ დაუტოვა. ამ კონტექსტში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე დღის წინათ უმნიშვნელოვანეს პროექტს მოეწერა ხელი – ვგულისხმობ „ნაბუქოს“ პროექტს. ამით საქართველომ ახალი, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. აქედან გამომდინარე, არც ევროპის ქვეყნებს და არც ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ საქართველოს მიტოვება. ისინი არ მისცემენ რუსეთს იმის უფლებას, რომ უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული დერეფანი გადაკეტოს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად რეალურად მიმაჩნია, ამერიკა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შეუერთდეს.

ამავე კონტექსტში მინდა ჯო ბაიდენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზავნილს დავუბრუნდე, რომელსაც ქართულმა მედიამ სათანადო ყურადღება არ დაუთმო. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ერთადერთი გზა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რეინტეგრაციისა, ეკონომიკური გაძლიერებაა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი დასუსტების პროცესშია, ნავთობის ფასი არც ისე მაღალია და ის მილიარდები, რომელსაც იგი წლების განმავლობაში აგროვებდა, ფაქტობრივად ხელიდან ეცლება იმის გათვალისწინებით, რომ კრემლი თავის იმპერიალისტურ ავანტიურისტულ კურსზე მილიარდებს ფლანგავს. რუსი ექსპერტების შეფასებით, ერთ წელიწადში ქვეყანას ე.წ. „მსუყე წლებში“ დაგროვებული სავალუტო რეზერვები ამოეწურება. ამის შედეგად რუსეთი დასავლეთის მიმართ ისეთივე ეკონომიკურ დამოკიდებულებაში მოექცევა, როგორშიც იმყოფებოდა გორბაჩოვის, ელცინისა და პუტინის პირველი წლების დროს. ის მაშინაც არ იტყოდა უარს ფართომასშტაბიანი ომის დაწყებაზე ახალი იმპერიის შესაქმნელად, მაგრამ იმ დროს ამას ვერ ბედავდა, ვინაიდან თავად იყო დამოკიდებული მსოფლიო სავალუტო ბანკზე და ინვესტიციებზე. მომავალშიც, ასეთი დამოკიდებულების პირობებში, დასავლეთს საშუალება ექნება, დიპლომატიური გზით აიძულოს კრემლი, უარი თქვას აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. მნიშვნელოვანია, საქართველო ეკონომიკურად გაძლიერდეს, რაშიც მას ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება. აშშ-ს სურს, საქართველოს სახით რეგიონში ისეთი ქვეყნის მოდელი შექმნას, რომელიც მიმზიდველი იქნება მთლიანად პოსტ-საბჭოური სივრცისთვის. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა თავისი ტურნესთვის სწორედ უკრაინა და საქართველო აირჩია.

**ლევან ჭითანავა**

◉ ინფორმაცია

## ნოღაიდელი სააკაშვილსა და მის რეჟიმს აფრთხილებს!..

**„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი იმედოვნებს, რომ მიხეილ სააკაშვილს და მის რეჟიმს ეყოფა ჭკუა და საქართველოს ახალ ავანტიურაში არ ჩაითრევენ.**

**ამის შესახებ ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**— კვლავ გრძელდება უაზრო საომარი რიტორიკა ჩვენი მხრიდან და რუსეთის მხრიდანაც. იმედს ვიტოვებ, რომ სააკაშვილს და მის რეჟიმს ეყოფათ ჭკუა და საქართველოს ახალ ავანტიურაში არ ჩაითრევენ. ჩვენ სააკაშვილის მოგებული ომი აგვისტოში ერთხელ უკვე ვნახეთ, — აღნიშნა ნოღაიდელმა.**

## ლეიბორისტები ტულუშის წინააღმდეგ

**ამის შესახებ პრესკონფერენციაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა.**

**მისი თქმით, გიორგი ტულუში არის უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგი წერეთლის დეიდაშვილი და ამ პოსტზე მისი დანიშვნა ქვეყანაში სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაშლას გამოიწვევს.**

**გუგავა აცხადებს, რომ ქვეყანაში, სადაც ამდენი უსამართლობა, პოლიტიკური დევნა, უკანონო დაჭერები ხდება, არ შეიძლება, სახალხო დამცველად უმრავლესობის კანდიდატი დაინიშნოს.**

**„ლეიბორისული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი მოუწოდებს ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სახალხო დამცველებს, რომ ამ ფაქტს შესაბამისი შეფასება მისცენ და რეაგირება მოახდინონ.**

## კოკოითი პრემიერსა და მთავრობას დაერია

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრი ასლანბეკ ბულაცევი გადაყენებულია. თანამდებობიდან. გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სახელდება. შეწყვეტილია ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთის „მინისტრთა კაბინეტის“ ფუნქციონირება.**

**ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ასლანბეკ ბულაცევის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებულებას ხელი უკვე მოაწერა. ე.წ. ბრძანებულების თანახმად, პრემიერ-მინისტრის გადაყენებასთან ერთად ე.წ. მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებაც წყდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ვაი ფულისაგან

# მსოფლიო ვალებში „იხრჩობა"

**ფინანსური კრიზისის გავლენა მსოფლიოში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად საგრძნობია. იმის მიუხედავად, რომ მთავრობები ცდილობენ ეკონომიკური სტაბილურობის ხელდახელ შემუშავებული გეგმებით მნიშვნელოვნად შეამცირონ გავლენა თავიანთ ეკონომიკებზე, სასურველი ეფექტის მიღწევა ჯერაც შეუძლებელი ხდება.**

კრიზისმა გავლენა არა მხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებზეც იქონია. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მრავალი მათგანი ჯერაც გაბანკროტების ზღვარზეა.

ექსპერტებს თვალნათელ მაგალითად ისლანდია მოჰყავთ, როდესაც სამი უმსხვილესი ბანკის კრახმა ეროვნული ვალუტის გაუფასურება, საფონდო ბაზრის დაცემა და, შესაბამისად, საგარეო ვალის ზრდა გამოიწვია.

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ მაშინ ევროკავშირმა დახმარებაზე უარის თქმით ისლანდია გაწირა. მეტიც: დიდმა ბრიტანეთმა ისლანდიის აქტივები გაყინა და მიზეზად ანტიტერორისტული კანონმდებლობა დაასახელა.

ევროკომისია მიიჩნევს, რომ მალე, შესაძლოა, ისლანდიის ბედი ლატვიამაც გაიზიაროს. ამ ქვეყნის ეკონომიკა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ფასდება როგორც ყველაზე სუსტი. ამ დროისთვის ქვეყნის საგარეო ვალი



28,5 მილიარდი ევროს ფარგლებშია, ევროკომისიის ექსპერტების გაანგარიშებით, 2011 წლისთვის რიგის ოფიციალურმა ვალმა, შესაძლოა, მშპ-ს 77% შეადგინოს.

ანალიტიკოსების გათვლით, ევროკავშირი ამჟამად მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდის. მაგალითისთვის ბელგიის სახელმწიფო ვალმა უკვე შეადგინა მშპ-ის 25 პროცენტი, შვედეთისამ – 20 პროცენტი. ამავდროულად ევროკავშირის წამყვანი ეკონომიკების ვალებმა, ექსპერტების გათვლით, ტრილიონებს გადააჭარბა. იტალიის ვალი – 2,19 ტრილიონი დოლარი, გერმანიის – 2,07 ტრილიონი დოლარი, საფრანგეთის – 1,63 ტრილიონი დოლარი, დიდი ბრიტანეთის – 1,2 ტრილიონი დოლარი.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, ვალის მოცულობით უკრაინა ლიდერობს. ექსპერტები უკრაინის ვალად 99,2 მილიარდ დოლარს ასახელებენ. 2008 წლის ბოლოსთვის უკრაინის ვალად 100 მილიარდი სახელდებოდა, თუმცა მიმდინარე წლის იანვარ-მარტში ქვეყანამ ამ მაჩვენებლის 2,5 მილიარდით შემცირება შესძლო.

საქართველოს საგარეო ვალად 2,8 მილიარდი დოლარი სახელდება. საქართველოს 17 კრედიტორი ქვეყანა ჰყავს. მათ შორის რუსეთი, რომლის ვალი 199 მილიონ 433 ათას დოლარია, აშშ – 38 მილიონ 311 ათასი დოლარი. ქვეყანას სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ვალებიც აქვს, რომელთა შორისაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ა. შ.

ვალების მხრივ რეკორდსმენად აშშ ითვლება, რომლის ვალდებულება 11,6 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს (2008 წლის მონაცემებიძ, იაპონიის – 7,45 ტრილიონი დოლარი,

ამ ფონზე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების ვალები საგრძნობლად დაბალია. ინდოეთის ვალი მხოლოდ 637 მილიარდი დოლარია, ბრაზილიის – 590 მილიარდი დოლარი, ჩინეთის – 580 მილიარდი დოლარი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის – 88 მილიარდი დოლარი და საუდის არაბეთის – 91 მილიარდი დოლარი. რუსეთის ვალი, რომელიც ასევე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, 2009 წლის 1-ლი ივნისისთვის 475,1 მილიარდ დოლარს შეადგენს.

იმის მიუხედავად, რომ ექსპერტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ მსოფლიო კრიზისის დაძლევა, შესაძლოა, 2010 წლიდან დაიწყოს, მთლიანობაში მსოფლიო ეკონომიკების ამჟამინდელი მაჩვენებელი მაინც ვერ გამოიყურება სახარბიელოდ.

ჯი-ეიჩ-ენი

ტრაგედიის წლისთავი



**მეორე პუბლიკაცია „რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომი: ფასი, რომელიც გადასახდელია და გაუთვალისწინებელი შედეგები“ ეკუთვნის კორნელი კაკაჩიას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტს. მას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს უინსტონ ჩერჩილის საგულისყურო გამონათქვამი: „მე არ ძალმიძს რუსეთის ქმედებათა განჭვრეტა. ეგ თავსატეხია, გახვეული გამოუცნობლობის გარსში მოთავსებულ საიდუმლოებაში“.**



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 153.

# ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა შარშან აგვისტოში: ვინ დამარცხდა და ვინ გაიმარჯვა?

იმპერიების რღვევა ხშირად იღებს ძალადობრივ ხასიათს და საბჭოთა კავშირის დაშლა არ გამხდარა გამონაკლისი. ეს პროცესი აღინიშნა ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობით, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში. საქართველო სუვერენიტეტის მიღწევის დროიდან ყველაზე დამოუკიდებელ ქვეყნად იჩენდა თავს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; მაგრამ როგორც კი თბილისის სურვილი ევროპისა და ტრანსატლანტიკური თანამეგობრობის მხარეს მოძრაობისა აშკარად გამოიკვეთა, მოსკოვთან ურთიერთობები გაფუჭდა.

მოახლოებული კონფლიქტის ნიშნები ადრეც შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით რუსეთის სამხედრო ყოფნის გაზრდის შემდეგ – ჩვეულებრივ დონეზე მაღლა „მშვიდობისმყოფლური ოპერაციების“ ჩასატარებლად; რუსეთის თვითმფრინავების მხრივ საქართველოს საჰაერო სივრცის მრავალგზისი დარღვევისა და რამდენიმე ქართული უპილოტუროს განადგურების შემდეგ, აგრეთვე საქართველოს საზღვრების ახლოს გამართული მსხვილმასშტაბიანი სამხედრო სწავლებების შემდეგ. მთელი ეს მანევრები შეადგენდნენ რგოლს იმ ამბების ჯაჭვში, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოში რუსეთის საომარი ქმედებები ადრევე იგეგმებოდა, რამდენიმე თვის უკან და მოსკოვი მხოლოდ შესაფერის საბაბს ელოდა. ის აშკარად ქმნიდა დაძაბულობას თბილისის რეაქციის პროვოცირების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი შეტყობინების თანახმად, რუსეთის ფედერაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ომზე ლაპარაკი დაიწყეს ჯერ კიდევ 3 აგვისტოს და ეს ხმები ვრცელდებოდა სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე. ცხადია, რომ რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობები წინასწარ დაგეგმილ ოპერაციას ახორციელებდნენ საქართველოში სტატუს-კვოს შეცვლის მიზნებით, თანაც უმოკლეს ვადებში და ძალისმიერი მეთოდებით.

აი, რას მოიცავდა საქართველოში რუსეთის შეჭრის შორს მიმავალი მიზნები:

1. პრეზიდენტ მ. სააკაშვილის გადაყენებასა და საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისკენ მიმართულ „ამბოხებას“; რეჟიმი უნდა შეცვლილიყო თბილისში იმ მთავრობის შექმნის გზით, რომელიც მეტწილად რუსეთზე იქნებოდა ორიენტირებული.

2. საქართველოს უარს ნატოში შესვლაზე და გაფრთხილებას სხვა „მოკავშირეთათვის“ იმის თაობაზე, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სწრაფვა მათთვის შეიძლება დამთავრდეს ომით ან ტერიტორიის დანაწევრებით.

3. საქართველოსათვის მაქსიმალური ზარალის მიყენებას მისი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის დანგრევის გზით.

4. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარებას საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მუდმივი სამხედრო ყოფნის ლეგალიზებისათვის.

5. კასპიის ენერგეტიკული რესურსების მონოპოლიურ გამოყენებას.

აგვისტოში რუსეთისა და საქართველოს ძალებს შორის ხუთდღიანი შეტაკებით სოლიდური დანაკლისი განიცადა ქართულმა ეკონომიკამ როგორც უშუალო ზარალის გამო, ისე ინვესტიციების განვითარებისა და მიღების პერსპექტივათა გაუარესების გამო. მატერიალური ზარალი შეფასდა ასე 1 მილიარდ დოლარად, რაც 2008 წლის შინაგანი საერთო პროდუქციის სავარაუდო მოცულობის დაახლოებით 8 პროცენტს შეადგენს. უმთავრესად დაზიანდნენ სამხედრო ობიექტები: ბაზები, აეროდრომები, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები. სამოქალაქო ობიექტები – სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ნაკლებად დაზიანდნენ. ერთ-ერთ გამონაკლისად იქცა სამხედრო თვითმფრინავების მწარმოებელი ქარხანა თბილისში. თითქმის უვნებელი გადარჩა კომუნიკაციების ხაზები გარდა რკინიგზის ხიდისა თბილისის აღმოსავლეთით 40 კილომეტრში, რომელიც რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებმა 16 აგვისტოს ააფეთქეს უკვე ზავის ხელმოწერის მერე. ამან პრობლემები შეუქმნა მარტო საქართველოს კი არა, არამედ აზერბაიჯანსა და სომხეთსაც, რომელთათვისაც ეს ხიდი ერთობ მნიშვნელოვანია...

შესაძლოა, ყველაზე მტკივნეული საქართველოსათვის გახდა მისი რეპუტაციისათვის მიყენებული ზარალი – ის ხომ ინვესტიციებისათვის უსაფრთხო ადგილად და ენერგორესურსების ტრანსპორტირების საიმედო დერეფნად ითვლებოდა.

საერთაშორისო თანამეგობრობა სწრაფად გამოეხმაურა საქართველოს პრობლემებს. ვაშინგტონმა 1,06 მილიარდი დოლარი გამოჰყო. ევროპული კომისია დაპირებულია 500 მილიონ დოლარს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ამდენივეს შემოტანის თხოვნით მიმართავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ცენტრალურ ბანკს 750 მილიონი დოლარი გადაუდო სარეზერვო შეთანხმების საფუძველზე. აზიის განვითარების ბანკმაც კი, რომელიც დიდწილად ჩინეთზეა დამოკიდებული, 40 მილიონი დოლარი გაიღო. ყველა ამ ძალისხმევამ ხელი შეუწყო საქართველოს მიმართ ინვესტორთა ნდობის აღდგენას...

კრემლის მკვეთრ პოლიტიკას, საქართველოს ტერიტორიათა დიდი ნაწილების ოკუპაციის ჩათვლით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებს გარეთ და ამის კვალდაკვალ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ნაჩქარევ აღიარებას რუსეთის დიპლომატიური იზოლაცია მოჰყვა. სამხედრო ინტერვენციის შედეგები დაეტყო რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობებს (თუმცა თვით საბრძოლო შეტაკებებში მან შესძლო წარმატების მიღწევაძ: რუსეთი ახლა იზოლირებულია და ნაკლები ნდობით სარგებლობს, ვიდრე ერთი წლის წინათ, ათობით ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია, დიდი რვიანისა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მიხედვით რუსეთის პარტნიორების ჩათვლით, გმობენ მოსკოვის ცდებს ევროპაში ძალით საზღვრების შეცვლისა. აქამდე მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ ნიკარაგუამ გადადგა ნაბიჯი კრემლის კვალდაკვალ, როცა საქართველოსგან წაგლეჯილი რეგიონების დამოუკიდებლობა სცნო, რაც აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის კ. რაისის სიტყვებით „დიპლომატიურ ტრიუმფად როდი ჩაითვლება“.

რუსეთის ფედერაციის დაუფარავი სურვილი – ძალისხმევებს მოუხმოს და მეზობელ სახელმწიფოებს ტერიტორიების ნაწილი წაჰგლიჯოს – იწვევს მისდამი უნდობლობის ზრდას იმ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მხრიდან, სადაც არსებობს ან შეიძლება გაჩნდეს სეპარატისტული განწყობები. ამ თვალსაზრისით საგულისყურო იყო, მოსკოვის სამხედრო წარმატების დღეებში, კონტრასტის დამზერა ყოფილი სსრ კავშირის სივრცეებზე – რუსეთის ფედერაციის მოკავშირეთა დუმილსა და ოპონენტების ნეგატიურ რეაქციას შორის.

რუსეთის ლიდერებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, რომელსაც შეუძლია კავკასიაში დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის გამოწვევა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობას“ არავინ არ აღიარებს, გარდა რუსეთისა და ეგებ ორი-სამი მარგინალური დიქტატორული რეჟიმისა. იზოლაციის მრავალი წლის შემდეგ ორივეს მოსახლეობა იძულებული გახდება, რომ საქართველოსთან შეერთების თაობაზე მოლაპარაკების პროცესს დაუბრუნდეს, როგორც ეს შეემთხვა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, არავინ რომ არ აღიარა, თვით თურქეთის მეტმა.

ეგეც რომ არ იყოს, ეს კონფლიქტი ალბათ სახიფათო პრეცედენტად იქცევა თვით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობისათვის, უახლოეს მომავალში აიდევნებს მისი დაშლის პროვოცირებას. აღიარებს რა „საკუთარ მოქალაქეთა“ (როგორც მათ რუსეთი განსაზღვრავსძ დამოუკიდებლობას საქართველოს ორ რეგიონში, რუსეთი, პირველად თავის იმპერიულ



ისტორიაში, აჩენს პრეცედენტს, როცა დამოუკიდებლობის გარანტიას აძლევს იმ ტერიტორიებს, სადაც რუსეთული პასპორტების მფლობელნი ცხოვრობენ. ძნელი როდია წინასწარმეტყველება, თუ სადამდე შეუძლია ამ პრეცედენტს მიყვანა – მრავალეროვანი რუსეთის „ბალკანიზაციამდე“, თათრებით დაწყებული და ჩრდილოეთ კავკასიით დამთავრებული. სამომავლოდ რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ მთავრობას დიდად გაუჭირდება თავისი საკუთარი მოქალაქეების დარწმუნება იმაში, რომ თათრეთს ან სხვა რესპუბლიკას, მაგალითად, ინგუშეთს, არა აქვს ნება დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს.

... სინამდვილეში ქართული კრიზისი იქცა კიდევ ერთ დრამატულ გამოვლენად პოსტსაბჭოურ სივრცეზე დემოკრატიის ეროზიის დამადასტურებელი ხანგრძლივი ტენდენციისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა პირველად მოახდინა ეროვნული ინტერესების დასაცავად, თავისი საზღვრების მიღმა, ძალის გამოყენების უნარისა და სურვილის დემონსტრირება. ეს აიძულებს მეზობელ სახელმწიფოებს იმაზე პასუხის მოძებნას, თუ როგორ განიმტკიცონ საკუთარი უშიშროება. საკითხი საქართველოსთვისაც ჯერ კიდევ გადასაწყვეტია...

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძემ.**

(გაგრძელება იქნება)

SOS! — შთამომავლობა ნადგურდება!

# უცხოური ინვესტიციის ინტერვენცია

**ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებიდან მუდმივად გვესმის, რომ ჩვენ თურმე მხოლოდ უცხოური ინვესტიცია გვიშველის, თორემ ყველა შიმშილით დავიხოცებით!**

ინვესტიცია უცხოური სიტყვაა, ლათინურიდან მოდის („invest“ — „ჩადება“ძ და ინვესტორის მთავარი მიზანია ფულის ისეთ საქმიანობაში ჩადება, რომ რაც შეიძლება დიდი მოგება ნახოს.

და ვეძებთ უცხოელ ინვესტორებს, რათა მოგება ნახონ და ვხაროზთ, როცა იგებენ კიდეც.

ჩვენ რას ვიგებთ?

როდესაც ერთი იგებს, ვინმე მეორე ხომ აუცილებლად წააგებს?

ხელისუფლება ნამდვილად იგებს (უცხოელებთან ერთადძ, რადგან ინვესტორები ქრთამის მიცემისას საკმაო ხელგაშლილობით გამოირჩევიან.

ვინღა აგებს?

ხალხი, ბატონებო, ხალხი, რადგან უცხოელის მოგება ხალხის ჯიბეების დაცლით ხდება. გაიხსენეთ გაზის, ელექტროენერგიის, წყლის გადასახადები. რატომ უნდა ღირდეს ჩვენთან ელექტროენერგია 5-ჯერ ძვირი, ვიდრე უკრაინაშია? რა მოგებას ნახულობენ ყაზახები გაზის უზომოდ გაზრდილი გადასახადებით? რა სინდისით აცხადებს გერმანელი ინვესტორი, „ჯორჯ უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორი იორგ მატიესი, რომ „ერთ სულ მოსახლეზე დაწესებული გადასახადი წყალზე არ არის მაღალი და არ აღემატება იმ ფასს, რომელსაც, მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე ევროპაში იხდიან“?

ხელფასებიც ისეთივეა, როგორც ევროპაშია, თუ პენსიები?

მაინც, რამდენი მილიონის მოგებას აპირებენ უსაშველოდ მაღალი ტარიფების ხარჯზე უცხოელი ინვესტორები?

ერთხელ ბატონმა შევარდნაძემ ბრძანა: „რაც უფრო მეტი მილიონერი გვეყოლება, მით უფრო უკეთესი არ არისო“?

უკეთესი ვისთვის? ერთი მილიონერის დაბადება რამდენ ათასს ალატაკებს?

უცხოურ ინვესტიციებზე დახარბებულებმა ჩვენი მიწა-წყალი რომ გავასხვისეთ, ბუნებრივ სიმდიდრეებს რომ ვანიავებთ, ჩვენს შთამომავლობას რას ვუტოვებთ?

ერთი კია გასაკვირი. თუ ჩვენ ათამდე მილიარდერი გვყავს (როგორც პრეზიდენტმა განაცხადაძ და ათჯერ მეტი მილიონერი, უცხოელ ინვესტორებს რატომ ვეძებთ? თუ ჩვენმა მილიარდერმა თავის ქვეყანაში ინვესტირებაზე გული აიცრუა, სხვა რატომ მოილტვის? აშკარაა — ჩვენს ინვესტორს უფრო ადვილად ძარცვავს სახელისუფლებო მაფია?

ყოველ გრანტს მოჰყვება შესაბამისი „ინსტრუქცია“, თუ რა უნდა აკეთოს გრანტიჭამიებმა ამ ფულის საფასურად. ამას კი, კორუფცია, ანუ მექრთამეობა ჰქვია. ქრთამს რომ აძლევს ერთი მეორეს და ის მეორეც იმას აკეთებს, რასაც ქრთამის მიმცემი ეტყვის, სწორედ ესაა კორუფცია და რა გვიკვირს, როცა გრანტიჭამიები სწორედ მათ „ინსტრუქციებს“ უსიტყვოდ ასრულებენ?

ეს უკვე ინვესტიციის სხვა ფორმაა და რა შედეგებამდე მიგვიყვანა ამ „ქველმოქმედებებმა“, კარგად გამოჩნდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ მაგალითზე.

ასეთი ინვესტიცია ინტერვენციას უფრო ჰგავს, რადგან, როგორც ვიცით, ინტერვენცია ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს აგრესიული ჩარევაა მეორე სახელმწიფოს შინაგან საქმეებში. თუმცა, არსებობს ფინანსური ინტერვენცია, რომელიც ერთი სუბიექტის მეორე სუბიექტის საქმეებზე და მოქმედებებზე ეკონომიური ზემოქმედებით გამოიხატება, რომელიც განხორციელებულია მასში ფულადი სახსრების ჩადებისა და განაწილების გზით მათი მოქმედების სფეროში შეჭრით.

ამიტომაც, ჩვენთან ჩადებული ინვესტიციები ინტერვენცია უფროა!

იქნებ უანგარო ინვესტიციაც არსებობს? მაგალითად ქველმოქმედება.

ქველმოქმედებაა, როდესაც მათხოვარს ხურდა ფულს ვაძლევთ. გულწრფელად გვსურს, რომ ის შიმშილით სიკვდილს გადავარჩინოთ, ვჩუქნით ძველ ტანსაცმელს ან ვაძლევთ საკვებს. ამას ჰუმანიტარული დახმარება ჰქვია და შინაგან კმაყოფილებას გვგვრის, მადლობასაც ვიმსახურებთ, მაგრამ ის მათხოვარი განა მათხოვრულ ცხოვრებას ჩამოვაცილეთ?

მათხოვარი მათხოვრად დარჩა. მისი ცხოვრება არ შეცვლილა და არც ასეთმა ქველმოქმედებამ არ გაამართლა.

საყოველთაოდ გავრცელდა აზრი, რომ ჰუმანიტარული დახმარების გარეშე ჩვენ დავიღუპებოდით. დღევანდელი გაჭირვების პირობებში ალბათ ძნელია საწინააღმდეგო აზრის არსებობა, მაგრამ კარგად უნდა გავიაზროთ, თუ რას მოგვიტანს პურითა და მედიკამენტებით დატვირთული ეშელონები.

ჯერ კიდევ 1991 წელს, ჩემი ლოს-ანჟელესში ყოფნის დროდ ერთი ამერიკული გაზეთი წერდა, თუ როგორ დალუპა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ჰუმანიტარულმა დახმარებამ აფრიკის ქვეყნები. სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპელმა კოლონიზატორებმა აფრიკის კონტინენტი დატოვეს, მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა. წარმოქმნის პროცესს კი ძველის ნგრევა და ეკონომიური გაჭირვება მოჰყვა. საჭირო გახდა მათი შველა და ამერიკისა და ევროპის ქვეყნებმა (მათ შორის საბჭოთა კავშირმაძ ჰუმანური თუ პოლიტიკური მიზნით გაშალეს დახმარების ფრონტი. დახმარების პროგრამა კი ძირითადად აფრიკის ქვეყნების საკვები-



თა და მედიკამენტებით მომარაგებას შეიცავდა.

გაირკვა, რომ აფრიკის ამ ახლად შექმნილ ქვეყნებში 10 წლის განმავლობაში თითქმის 90 პროცენტით შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ნაყოფიერი მიწა უდაბნოდ დაიკავა. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავდა, ესპანელების მიერ მიტოვებულ რანჩოზე მუშაობა ჩაკვდა. თუ ადრე ესპანელები აიძულებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ემუშავა და პროდუქცია შეექმნა, კოლონიზატორების წასვლის შემდეგ მოსახლეობა, უფასო პურის მოლოდინში, აქტიურ საქმიანობას ჩამოცილდა, გაზარმაცდა,. ამავე დროს, ჰუმანიტარული დახმარების თითქმის 30 პროცენტი ადგილობრივი ბელადების ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც ვილები აიშენეს ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე. ამდენად, პირველ რიგში სწორედ ისინი აღმოჩნდნენ დაინტერესებულნი ჰუმანიტარული დახმარების არსებობით და ალბათ ხელსაც კი უშლიდნენ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, რათა მათთვის ეს მომგებიანი დახმარება არ შემცირებულიყო.

მაგრამ ჰუმანიტარული დახმარება რომც არ შემცირდეს, ის ქვეყნის კრიზისულ მდგომარეობას გაამწვავებს, რადგან პურით დახმარება ამ ქვეყანაში კვების პროდუქტის საკუთარი წარმოების შემცირებას იწვევს და აუცილებლად დაიწყება „შიმშილის ერა“. ამისი მოწმე დღეს ყველა ვართ: შიმშილით მილიონობით აფრიკელი იღუპება!

ჩვენც აფრიკის ქვეყნების „განვითარების“ გზას დავადექით და უკვე ვხედავთ, თუ როგორ დაგვიცარიელდა სოფელი. დამშეული გლეხი ქალაქს მოადგა და სპეკულაციით და მოტყუებით, ზოგჯერ ძარცვა-ყაჩაღობითაც თავის გადარჩენას ცდილობს. სოფელში ვინც დარჩა, უსაქმურობისაგან თანდათან გალოთდა, რადგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჯართად გაუყიდეს, რაც დარჩა, საწვავის მაღალი ფასების გამო, უქმადაა. ამიტომაც მომრავლდა ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწა და მიტოვებულ მიწასაც გადამთიელები ეპატრონებიან.

გავიხსენოთ მსოფლიო ბანკის 60 მილიონდოლარიანი ინვესტიცია განათლების რეფორმაში და ამ რეფორმების შედეგები. სულ 60 მილიონად სამი ამერიკული უნივერსიტეტის გაერთიანებამ (RTIძ ჩაგვიტარა „რეფორმა“, რომელიც ჩვენმა განათლების მინისტრებმა მორჩილად შეასრულეს. შედეგად უმაღლესი სკოლაც დაკნინდა და საშუალოც! შემოგვრჩა უბადრუკი „საჯარო სკოლები“ გონებასუსტი ბავშვებისთვის დაწერილი სასწავლო პროგრამებით და სახელმძღვანელოებით.

**განა ეს ინტერვენცია არ არის, რომელმაც ქართველ ახალგაზრდობას მაღალი დონის განათლების მიღების უფლება აუკრძალა?**

მეცნიერებაში ინვესტიცია კი არც შინაურ ინვესტორს აწყობს და არც გარეულს. თუ რამე მეცნიერული შედეგია, უცხოელები პირდაპირ ყიდულობენ საკმაოდ იაფად და ჭკვიანი ახალგაზრდებისაგანაც ეფექტურად აცარიელებენ ჩვენს ქვეყანას.

დღეს უცხოელთა ინვესტიციები ძირითადად სასტუმროების აშენებას ხმარდება. რა გვიხარია? უცხოელთა მომსახურე სასტუმროს პერსონალი რომ დასაქმდება?

თურქებმა აეროპორტი აგვიშენეს და იქ მომსახურე ქართველი პერსონალი 5-ჯერ ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე თურქი, რომელიც იგივე სამუშაოს ასრულებს!

რა არის ეს? ქართველის დისკრიმინაცია თუ ინტერვენციის შედეგი? ქართველი რატომ იჩაგრება ასე უმოწყალოდ.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“ — ბრძანებს ილია. ბოლოს და ბოლოს, როდის დადგება ეს დრო? როდის დავაღწევთ თავს უცხოური ინვესტიციის ინტერვენციას?

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„თეთრები“, „ქართული აკადემია“**

დღის თემა

# აქამდე ხალხი უსმენდა ოპოზიციას, ახლა ოპოზიციამ უნდა მოუსმინოს საზოგადოებას

## გამოფხიზლდი!.. გამოფხიზლდი!.. „დაიცავი საქართველო!“



**ამის შესახებ არაფერი არ თქმულა იმ დღეს მოზარდ მაყურებელთა თეატრის გადაჭედილ დარბაზში, სადაც ლევან გაჩეჩილაძის ინიციატივით დაარსებულ საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „დაიცავი საქართველოს“ რიგით მეორე შეკრება გაიმართა.**

ჩემი აზრით, ოპოზიციის ახალ სტრატეგია-ტაქტიკაში ჯდება ჭაბუა ამირეჯიბის საპატიო თავმჯდომარეობით შექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობა.

მოდით, ვაღიაროთ, რომ სამთვიანი პერმანენტული საპროტესტო აქციები თუ ოპოზიციის მარცხით არა, გამარჯვებით არ დასრულებულა! არც ხელისუფლებაა გამარჯვებული, მაგრამ აშკარად რომ მოფერიანდნენ, განსაკუთრებით ბაიდენის „სადღეგრძელოების“ შემდეგ, ესეც ფაქტია.

ამიტომ, დიახაც, მოვიდა დრო, რომ ოპოზიციამ არა თუ მოუსმინოს საზოგადოებას, არამედ დაუჯეროს კიდეც... საზოგადოებას, რომელმაც „დაიცავი საქართველოს“ სახით უნდა წარმართოს პოლიტიკური პროცესები. ამიტომ, მოდით მოვეშვათ იმის წარამარა ძახილს, რომ ეს მოძრაობა აპოლიტიკურია. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ე. წ. აპოლიტიკურობაც პოლიტიკაა და მეორეც იმიტომ, რომ არაფერი საძრახისი პოლიტიკურობაში არ არის, მით უმეტეს, ჩვენში, სადაც ბავშვიც კი პოლიტიზირებულია. ეს სამწუხარო რეალობაა.

როგორც ყველა წამოწყების ირგვლივ საქართველოში, „დაიცავი საქართველოს“ მიმართაც ათასი მითქმა-მოთქმაა, რაზედაც ჯერჯერობით არ ღირს აქცენტირება. ამ საზოგადოებაში გაწევრებული ხალხის, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარის ჭაბუა ამირეჯიბის შეურყვნელი ავტორიტეტი იმის იმედს იძლევა, რომ ეს მოძრაობა ქვეყნის ინტერესებს ემსახურება და არა ვინმე კონკრეტული პოლიტიკოსის თუ პარტიისა...

ამიტომ გულწრფელ წარმატებებს ვუსურვებ ამ საზოგადოებრივ მოძრაობას, სადაც თქვენი მონა-მორჩილიც გაწევრდა, ისევე როგორც ამ ლექსის ავტორი, უმშვენიერესი, ნიჭიერი პოეტი ნათია ავსაჯანიშვილი.

**დავით მხეიძე**

ნათია ავსაჯანიშვილი

## დაიცავი საქართველო!

**ქართველებო! — ბუკს ჩაჰბერეთ,**
**იყავნ ერის სასახელო!..**
**მტრის მახვილმა გაიელვა —**
**„დაიცავი საქართველო!“**

**შეეგუე კაცის გულო? —**
**აგეჩეხა მთა და მდელო?..**
**სისხლი ძარღვში აიდუღე —**
**„დაიცავი საქართველო!“**

**სამშობლოსთვის გაწვდილ ლუკმას —**
**არ დაარქვა სანაქებო!..**
**მოყვასს უძღვენ მოწყალება —**
**„დაიცავი საქართველო!“**

**ერო! — მამულს მუმლი ფარავს...**
**შენ, უქმად ვერ გასარჯელო,**
**ოცნებების დრო დასრულდა —**
**„დაიცავი საქართველო!“**

**ჩაძინებულთ მადლს გპარავენ**
**ქართველებო — ალალბედო!..**
**გამოფხიზლდი!.. გამოფხიზლდი!..**
**„დაიცავი საქართველო!“**

რა დღეშიც ვართ

# ჯანდაბასა და დოზანას შუა გამოკიდებული ქვეყანა

**შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიცია დამარცხდა. ახლა ყველა ცალცალკე და თავისებურად მსჯელობს წარსულზე: ეს იყო უბადლო პროტესტი, მაგრამ არათანმიმდევრული და არაეფექტიანი. რატომ? — არგუმენტები სხვადასხვაგვარია.**

საკნების ქალაქის თბილისიდან მოცილებას თითქოს უმტკივნეულოდ შეეგუა საზოგადოება და ოპოზიციური არდადეგები არად ადარდებთ. საზოგადოების იმ ნაწილს ვგულისხმობ, რომელსაც მოლოდინი ჰქონდა, რომ რკინის გისოსები მათი არსებობის წახნაგებს შეცვლიდა, თორემ იყვნენ ისეთებიც, საკნები რომ აღიზიანებდათ, სიხარულით ცას ეწეოდნენ, როცა პრეზიდენტი მათ „გალიებს“ უწოდებდა ხოლმე. იყო ინდეფერენტული ნაწილიც, რაიმეს შეცვლის იმედი რომ არ ჰქონდა და რუდუნებითა და ძალისხმევით აგრძელებდა წუთისოფლის ჭაპანის ზიდვას.

...მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი თუ ზუგდიდში საკნები ისევ ძველებურად ხილვისას თმები ყალყზე დამიდგა. მერედა ვის დაუპირისპირდნენ კამერების წინ? — „მონსტრს“, როლანდ ახალაიას. დარწმუნებული ვარ, ამ გარემოვაჭრეთაგან არც ერთი 26 მაისს თბილისის სტადიონზე არ იმყოფებოდა, რადგან ერთი დღის ულუფას თავის ოჯახს ვერ გამოულევდა, მაგრამ აქციის პოტენციური მხარდამჭერები, მაინც იქნებოდნენ. თუ არა — მით უარესი. სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი ყოფილა მართლაც. ახლა სხვამ თუ არ შეითკია მათზე გული, რა გამოდის, საზოგადოების ერთიანობა არ ექტის მეთოდებით, თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. მაგრამ ოპოზიციამ მაინც ეს გზა აირჩია. იყო სხვაგვარი აზრებიც: რეფერენდუმის ჩატარების, ან საერთო-სახალხო კრების მოთხოვნა, უფრო ადრე ჩრდილოვანი კაბინეტისა და კოალიციური მთავრობის შექმნის იდეა, კიდევ უფრო ადრე ოპოზიციური პარლამენტის ჩამოყალიბების სურვილი. ყველა ამ ალტერნატივას ხაზი ერთბაშად გადაუსვეს და „7 ნოემბრის“ განმეორება სცადეს, მაგრამ გეგმა ჩაუვარდათ. ხელისუფლებამ ჭკუა ისწავლა.

კვლავ დაგვიბრუნდებიან, ამერიკა მხარს გვიჭერს და მილიტარიზაციაზეც უარს არ გვეუბნება, ხელფასები შემოდგომით გაიზრდება (ყოველ შემთხვევაში, მეეზოვეებს ასე შეჰპირდნენძ. ამის პარალელურად სხვა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი რამეებიც ხდება: პროვოკაციები კონფლიქტურ რეგიონებში გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით სახელმწიფო დიდსულოვნად თავს იკავებს, ევროდამკვირვებლების ანალიზი და კომენტარი ჯერ არ მოგვისმენია, ხალხი კი მუდმივი საფრთხისა და ტერორის ქვეშ წყობა მატულობს, ხოლო შემოდგომაზე, როცა უარესი სოციალური ფონი შეიქმნება, პროტესტი კიდევ უფრო გამძაფრდება და აქციები დაიწყება, — ასე გვამშვიდებს ოპოზიცია. ასეთ დროს არავინ ფიქრობს იმაზე, როგორი შიში იპყრობს საზოგადოებას უარესის მოლოდინში, რადგან იჯერებს, რომ კიდევ უფრო მოშივდება, მეტი თავსატეხი ელოდება, გაუჭირდება ცხოვრება. ეს რა ჯანდაბის იმედია?!

რა გაკვეთილი მიიღო ხელისუფლებამ? — აღიარებენ, რომ შეცდომები ჰქონდათ, მაგრამ ეპატიება ახალ დემოკრატიას, სამაგიეროდ, დემოკრატიის რელსებზე თურმე მყარად დავმდგარვართ. ამასთანავე, დაინახეს, რომ მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვს საზოგადოების დიდ ნაწილს, თუმცა ჯერჯერობით ცხოვრება კიდევ გაჭირდება (ვინაიდან ეკონომიკური კრიზისის ფონზე ომგამოვლილი ქვეყანა „საკნების ქალაქმა“ კიდევ უფრო დააზარალა). ეს კიდევ რაღაც ახალი დოზა-



**ზუგდიდელები სამეგრელოს „მონსტრს“ – როლანდ ახალაიას კლანს დაუპირისპირდნენ!**



იდგა. ახალაიების სამშობლოში, სადაც მხარის გუბერნატორი და ქალაქის გამგებელი სრულიად მეორეხარისხოვანი პირები არიან. თბილისელები ამ ამბავს ვერც გაიგებდნენ, ზუგდიდში გარემოვაჭრეები რომ არ აეყარათ, ბილწი სიტყვებითა და ფიზიკური ძალით რომ არ გასწორებოდნენ. ზუგდიდში ყოველთვის იყო მუხტი და თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთება. მაგრამ მხედრიონელების, ხოლო შემდეგ ტყეში გახიზნული პარტიზანების თარეშისაგან თავმობეზრებულ ქალაქს, მიშას ერთი მოფერება აშოშმინებდა ხოლმე. გადალებილი ფასადები, შადრევნები, ხშირი კონცერტები, ფეიერვერკები... ამაღლებულ განწყობას უქმნიდა ხალხს, მძიმე წარსულს ავიწყებდა.

ნათქვამია, ჭირმა თავი არ დამალაო. საკნების აქციის ორგანიზატორის კახა მიქაიას იმედად დარჩენილი ქალბატონების ყოფილა, არ ყოფილა ერთსულოვნება, რითაც ქართველებს თავი მოგვაქვს...

ეს რა ქნა ოპოზიციამ? 107 დღე უწყვეტად ხალხი გყავდეს ქუჩაში, 9 აპრილის მიტინგი აჩვენო მსოფლიოს, 26 მაისი მოაწყო და მერე 22 ივლისს ელოდო იმისთვის, რომ ბაიდენს ემათხოვრო, ერი ვართ და რამე გვიშველეო, უბრალოდ, სირცხვილია.

მთავარი ის არის, რომ ოპოზიციამ ზედმიწევნით ის სტრატეგია „გადაიმღერა“, რაც მიხეილ სააკაშვილმა წლების წინათ თავად ჩამოაყალიბა და „გადაღეჭა“ კიდეც. ზუსტად ისეთივე აქციები, ხალხმრავლობა, ლიდერთა პათოსი ვიხილეთ, რაც 2003 წელს უკვე ნანახი გვქონდა. რაც შეეხება რეგიონებიდან დროშებითა და უწყვეტი სიგნალებით მანქანების კოლონების დედაქალაქში შემოსვლას, ეს იმდენად ძველი იყო, ვინ „ჭამდა“ ამას? სააკაშვილთან ბრძოლა მისივე პრო-

საერთოდ, ადამიანი რასაც მდგომარეობიდან გამოჰყავს, იგნორირებაა! საშინელებაა, როცა ვიღაცას აგინებ, ლანძღავ, ათახსირებ და მას რეაქცია არა აქვს. მთელი სიმშვიდით ცინიკურად შემოგცქერის და ეპითეტებით გამკობს: არა უშავს, ცოდვაა, ავადმყოფია, ვერ აცნობიერებს, რას შვრება... რა თქმა უნდა, ოდესმე მშვიდდები, მაგრამ ვაი, ასეთ სიმშვიდეს — განადგურებული და შეურაცხყოფილი მორიგი ისტერიკისთვის ემზადები. ასე თანდათან, დროდადრო შენი სიმართლე გეკარგება, ხელიდან გეცლება... და მართლაც ფსიქიკურად იშლები. ვშიშობ, ოპოზიციის ქმედებები თანდათან ამას ემსგავსება. შეიძლება, გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ მაინც.

სამთვიანი უწყვეტი საპროტესტო აქციების შემდეგ ხელისუფლება თავაწეული დადის და იმით ბაქიბუქობს, რომ სახელმწიფო არ ჩამოიშალა, ინვესტორები თანდათანობით ცხოვრობს, ერთი ადამიანი უკვე შეეწირა.

სხვამხრივ, ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა გრძელდება, საარჩევნო კოდექსიც იცვლება, ახალი ომბუდსმენი დაგვინიშნეს, საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი დირექტორი ეყოლება — მოკლედ, ყველა ის პრობლემა გვარდება, რაზეც ოპოზიცია ნერვებს იგლეჯდა. პარლამენტი არდადეგებზე წავიდა. მიშაც რომელიმე ღირსშესანიშნავ „პლაჟზე“ განცხრომას მიეცემა და გაიხარებს იმით, რომ პოსტიდან არ წავიდა.

ხალხში საპროტესტო განწყობა ... ნაა. ვის რაში სჭირდება ასეთი ცალყბა აღსარება?!

ჯო ბაიდენის სტუმრობამ თითქმის იმედი ჩაგვისახა, მაგრამ სულ ტყუილად. რუსეთის დიდმა ლიდერებმა ეს იმედები გაგვიბითურეს. ბოლო მოუღეს ამერიკა-რუსეთის „გადატვირთვას“. ვითარება დღითი დღე კიდევ უფრო იძაბება. ევროკავშირი კი ამ დროს ჯეროვნად იმაშიც კი ვერ გარკვეულა, რატომ ულირს ამერიკას რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება ერთი ციცქნა საქართველოს გამო. რისთვის სჭირდება ამერიკას ამხელა რესურსის საქართველოსთვის დახარჯვა?

**ჩვენი ქვეყანა აგვისტოს ომის წლისთავს „აღნიშნავს“ და კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიტყვით, რომ ამერიკა ჩვენი პარტნიორია. ალბათ, სარკოზის დამსახურებასაც გაიხსენებენ, რადგან მას ახლა მხოლოდ სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ხსენებისას ვიგონებთ ხოლმე. დაიგმობა რუსეთის იმპერიული ზრახვები და აგრესიული ძალმომრეობა, პატივს მივაგებთ ომში გარდაცვლილებს, შეგვძრავს ბრძოლის ველის კადრების ხილვა... ამასობაში 9 აგვისტოც მოვა თავისი ახალი საზრუნავითა და პრობლემებით.**

**მოკლედ, ასეთია ეს „ბედნიერი“ ქვეყანა და ერი!..**

თეა მოსია

რეპლიკა

## ცე-ეს-კო კი არა, ცესკო!

**27 სექტემბერს შუალედური არჩევნების ჩატარებას აპირებენ და ტელეეკრანზე გახშირდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხსენება; ოღონდ როცა შემოკლებულ სახელს (აბრევიატურას) მიმართავენ, თითქმის ყველა, თვით კომისიის წევრებიც, შეცდომით ამბობენ ცე-ეს-კო; არადა სწორია, უბრალოდ ცესკო.**

ეს აბრევიატურა მარტივად არის „გაკეთებული“: ცე-ნტრალური ს-აარჩევნო კო-მისია; ანუ სამსიტყვიანი სახელწოდების პირველი სიტყვიდან აღებულია პირველი მარცვალი, მეორე სიტყვიდან — პირველი ასო და მესამე სიტყვიდან — ისევ პირველი მარცვალი: ცესკო; სრულიად გაუგებარია, საიდან გაჩნდა დამატებითი „ე“, მეორე „ე“. ასოზგერა „ს“-ს წარმოსათქმელად „ეს“-ს მოშველიება „ე“-ს მოდება სულაც არაა საჭირო.

აბრევიატურა პირველად „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე იყო შემოთავაზებული და თუმცა თავიდან „ხიშტებით“ შეხვდნენ, შემდეგ ისე დამკვიდრდა, რომ „ჟურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“ ნორმის სახითაა შეტანილი და კომისიის ბლანკის კუთხეშიცაა აღბეჭდილი; რაკი „ცესკო“ ჩვენი გაზეთის პირმშოა, მას ჩვენვე „ვესარჩლებით“ სწორად წარმოსათქმელად...

თამაზ ეზანოიძე

ინფორმაცია

## ომის წლისთავს შეიძლება პროვოკაციები მოჰყვეს

**მოსკოვის** მტკიცებით, რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავისთვის საქართველოს ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან პროვოკაციებს გეგმავს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა გაზეთ „როსიისკაია გაზეტასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით რუსეთი ქმედებების რამდენიმე ვარიანტს ამუშავებს.

მინისტრის მოადგილის თქმით, დამატებით დაძაბულობას იწვევს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნების ჩატარება და საქართველოს პორტებში სხვა სახელმწიფოების სამხედრო გემების შესვლა.

— სწავლებების ჩატარება რეგიონში, კერძოდ კი საქართველო-სამხრეთ ოსეთისა და საქართველო-აფხაზეთის საზღვრებზე დაძაბულობას იწვევს. პირველ რიგში, ვგულისხმობ ცოტა ხნის წინათ ვაზიანის ბაზაზე ჩატარებულ წვრთნებს, — განაცხადა კარასინმა და დასძინა, რომ მსგავსი წვრთნები პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ დისკრედიტაციასაც ახდენს.

მისი თქმით, რუსეთი ამ ყველაფრის მიმართ გულგრილი ვერ იქნება.

ХО-ЕОВ-ЕНО

◎ სამშობლოდაკარგულის ჩანაწერები

# ზურა-მურა კაჭმაჭი



***ქალბატონი ელენე კოდუა ცნობილი მთარგმნელი და პუბლიცისტი ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და გულშემატკივარია. არც მაშინ მივუტოვებივართ, როდესაც გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოგვაძევეს და ძველთბილისურ ეზოში დავიდეთ ბინა. ამ პატარა სევდიან ისტორიას, ჩვენი ყოველდღიური ყოფისას, სწორედ ამ ეზოში შეესწრო და პატარა ნოველად გარდაქმნილი გადაწყვიტა ჩვენთვის მოეტანა.***

„ტანცკლას“ დამთავრებულივით ცეკვავდა პატარა ზურიკელა და თავისი მოქნილი სხეულით ათასნაირ ილეთს აკეთებდა, თან თავის უმშვენიერეს ცისფერ – ოდნავ ელამ თვალებს ეშმაკურად ჭუტავდა და უფროს მეგობრებს უთვალთვალებდა – მოსწონთ თუ არა ჩემი ცეკვაო.

მათ შორის ერთი, ყველაზე მაღალი, ბიძია მამუკა უყურებდა მეტად გახარებული. უცებ ზურამ მამუკა ბიძიას თვალებში ცრემლი შენიშნა. მასაც აუჩუყდა გული, ცეკვა შეწყვიტა, მამუკა ბიძიას ფეხებზე მოეხვია და „ჩემი მამა იყავიო“ შესტირა. რატომ მაინცდამაინც მამუკა ბიძია? უბრალოდ, უსამართლოდ დასჯილ ზურა-მურას მამუკა რამდენჯერმე გამოექომაგა და ბავშვსაც მეტი რა უნდა.

ყველა შეწუხდა, მამუკამ ბავშვი ხელში აიტაცა. გულში ჩაიკრა – ოღონდ არ იტირო და ვიქნები შენი მამა და სახლშიც წაგიყვანო, შეჰპირდა ბავშვს. ბავშვმა თავი დაადო მხარზე. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ ტირილი შეწყვიტა, ფიქრებს მიჰყვა.

გაახსენდა თავისი ულამაზესი დედიკო, რომელიც თავისნაირად ლამაზ ნახატებს ხატავდა და გული ეტკინა – „მამუკა მამასთან“ რომ წავიდეს, იქ დედიკო რომ არ იქნება?

არა! უდედიკოდ ვერ გაძლებს ზურა. მამა კი ჰყავს ზურას, მაგრამ ის არასდროს მოფერებია, ხელ-პირი არ დაუბანია მისთვის. მამუკა ბიძია კი სულ ეფერება.

ზურას პატარა დაიკოც ჰყავს, დედასავით ლამაზი, ვერც იმას დატოვებს ზურა – დედამ ერთხელ უთხრა, მამა შორს არის წასული და ვინ იცის, როდის მოვა, ამიტომ შენ ჭკვიანი ბიჭი უნდა იყო და შენს დედიკოს უპატრონოო.

ჰოდა, მე მამუკა ბიძიასავით ჭკვიანი უნდა გავხდე, გაზეთი დავბეჭდო და ჩემს დედიკოს და დაიკოს უნდა მოვუარო, როგორც მამუკა ბიძია მივლის ხოლმე – გაჭუჭყიანებულს რომ მნახავს, ვითომ გამიწყრება, მე პატარა კი ვარ, მაგრამ, ვხვდები, რომ კი არ მიწყრება, მას უნდა, რომ წესიერად მოვიქცე და კარგი ბიჭი ვიყო, ცუდ ბავშვებთან არ ვითამაშო, რომ მერე ცუდი არ გავიზარდო, მამაჩემივით შეცდომა არ დავუშვა და სადმე არ გადავიკარგო დიდი ხნით.

მამუკამ მის მხარზე თავდადებულ-გაყუჩებული ბავშვი ფრთხილად ჩამოსვა ძირს. მოეფერა, ახლა წადი „კაჭმაჭო“, ითამაშე და მერე მოგვაკითხე რედაქციაშიო.

სიტყვა კაჭმაჭის გაგონებაზე ბავშვს გუნებაში გაეცინა და გაახსენდა, „კაჭმაჭი“ რატომ უწოდა მამუკა ბიძიამ, რომელიც ადრე, თამაშისას ზურა-მურას ეძახდა, ხოლო როცა სახატავად დასვამდა, მაშინ – ზურას არიგებდა – შენ ძალიან კარგად ხატავ, თუ ხატვას მიჰყვები დედაშენივით, მაშინ კარგი კაცი იქნები და ზურაბს დაგიძახებენ, ეცადე ხატვას თავი არ დაანებო, როცა სკოლაში ივლი, ბევრი წიგნი უნდა წაიკითხოო.

– გაზეთებიც უნდა წავიკითხოო? – უპასუხებდა ზურა, რათა მამუკა ბიძიასთვის ესიამოვნებინა. თან ჰპირდებოდა კიდეც, კარგი კაცი გამოვალო.

ჰო, კაჭმაჭზე გაახსენდა.

ერთხელ მასზე უფროს ბიჭებს ყურს უგდებდა და ერთი უცნობი სიტყვა გაიგონა. ბიჭები იცინოდნენ და ამბობდენ „კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო...“ და კიდევ რაღაცას, ის სიტყვები ვერ გაიგო, რადგან ეს კაჭმაჭი მოეწონა და მამუკა ბიძიასთან გაიქცა.

– მამუკა ბიძია, კაჭმაჭი რა არის?

– კაჭმაჭი არ ვიცი, რა არისო, – უპასუხა მამუკა ბიძიამ.

– ბიჭები ამბობდნენ, კაჭმაჭმა უთხრა ყვავსაო, – მეტი ვეღარ გავიგე.

მამუკას გაეცინა, ბავშვს მოეფერა, კარგია რომ ვერ გაიგე, ისე კი კაჭმაჭმა კი არა, კაჭკაჭი უნდა თქვა, ეგ ენატანია და ეშმაკი ჩიტიაო.

– აბა თქვი კაჭკაჭიო, მაგრამ ზურამ ვერაფრით ვერ მოახერხა სიტყვა კაჭკაჭის თქმა, რამდენიც არ ეცადა სულ კაჭმაჭი გამოდიოდა. იმ დღიდან ზურას ეს ახალი სახელი დაარქვა მამუკა ბიძიამ, რომელსაც იქამდე ზურა-მურას ეძახდა.

ახლა კი დაღონებულია ზურა-მურა კაჭმაჭი, მისი საყვარელი მამუკა ბიძია და ყველა უფროსი მეგობარი მისი ეზოდან სხვაგან გადადიან, იქ უნდა დაბეჭდონ გაზეთი, ზურა კი მამუკა ბიძიას ყოველთვის ვეღარ ნახავს.

რა ქნას უიმისოდ, ვინ მოეფერება ალერსს მოწყურებულ პატარას? მხოლოდ ის ახარებს, რომ ის ადგილი, სადაც მისი უფროსი სამეგობრო გადადის, სულ ახლოსაა მათი სახლიდან. მამუკა ბიძია ჰპირდება, რომ ყოველდღე მოინახულებს.

მაგრამ თუ მას ბევრი საქმე ექნება და ვერ მოვა მასთან, კაჭმაჭმა უკვე იცის – ერთი მიწისქვეშა გადასასვლელი გვირაბი უნდა გაიაროს და იქვეა მათი სამსახური. ვინმე თუ აწყენინებს ზურას, ან ძალიან მოენატრება მამუკა ბიძია, წავა მის სანახავად.

უკვე ორჯერ იყო კაჭმაჭი ახალ სამსახურში, თვითონ მივიდა მარტო, იქიდან კი მამუკა ბიძიამ წამოიყვანა, ოჯახს ჩააბარა და დაჰპირდა – ყოველდღე გნახავ, ოღონდ შენ არ წამოხვიდე, რამე არ შეგემთხვასო.

ჰოდა, კაჭმაჭიც ჰპირდება მამუკა ბიძიას, რომ მასავით კარგი კაცი გამოვა. ცუდს არაფერს გააკეთებს არასოდეს და თავის დედიკოს და დაიკოს უპატრონებს, მაგრამ არც მამუკა ბიძიას დაივიწყებს, რაც არ უნდა მოხდეს.

**ელენე კოდუა**

◎ SIC!

# რეფორმა ქართულად

## პატიმრების გაუსაძლის მდგომარეობას საკვების სიმცირეც ემატება

***ჩვენი მოსახლეობისთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა მძიმე პირობებში ამყოფებს ხელისუფლება სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მოხვედრილთ. ტუსაღთა რაოდენობა 4-5-ჯერ აღემატება ციხეთა ტევადობას. ამის გამო მსჯავრდებულებს და განსასჯელებს მორიგეობით უწევთ ძილი. შექმნილია აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები. ადმინისტრაცია დროულად არ ცვლის თეთრეულს, ახლობლებს კი შეგზავნის უფლებას არ აძლევს. არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად (არასამთავრობოებიდან) პატიმრები კვლავ არ გაჰყავთ გასასეირნებლად. უწყებიდან ბაჩო ახალაიას წასვლის შემდეგ შაშკინმა ვერ ან არ გაამკაცრა კონტროლი პატიმრებთან არაადამიანური მოქცევის ფაქტების აღკვეთაზე. ტუსაღებს სცემენ, აწამებენ, გამკითხავი კი არავინაა.***



### მაინც, როგორ კვებავენ პატიმრებს

**როგორც ყოფილი მსჯავრდებულები აცხადებენ, საპატიმროებში ყველა პირობაა შექმნილი, რომ იქ ნებისმიერი დამნაშავე მოკვდეს!**

ერთ საკანში ამყოფებენ სხვადასხვა სენით დაავადებულებსა და ჯანმრთელებს. ტუბერკულოზიანი ავადმყოფი თუ სისხლს არ ახველებს, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ გადაჰყავთ. ის, რომ დაავადებულებს სულ სხვა კვების რეჟიმი სჭირდებათ, აბსოლუტურად იგნორირებულია.

თუმცა, სასჯელმოხდილები აცხადებენ, რომ ადმინისტრაციის მოწოდებული საკვებით ვერ დანაყრდები. გარედან კი მხოლოდ წვენების შეგზავნა შეიძლება.

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა რუსთავის №1 კოლონიის პატიმართათვის განკუთვნილი მენიუ, რომელიც კვირის დღეებზეა გაწერილი.

**ორშაბათი:**

**საუზმე** – მანის ტკბილი ფაფა, პური, უშაქრო ჩაი.

**სადილი** – ხორცზე მომზადებული ბორში და ბოსტნეულის სალათი.

**ვახშამი** – მაკარონი ხორცით, შაქრიანი ჩაი.

**სამშაბათი:**

**საუზმე** – წიწიბურის ფაფა, პური უშაქრო ჩაი.

**სადილი** – კარტოფილის პიურე, სოსისი, კომბოსტოს სალათა.

**ვახშამი** – უზბეკური ფლავი, ჩაი შაქრით.

**ოთხშაბათი:**

**საუზმე** – ტკბილი ფაფა, პური და უშაქრო ჩაი.

**სადილი** – ლობიო და ბოსტნეულის სალათა.

**ვახშამი** – ჩაშუშული კარტოფილი, შაქრიანი ჩაი.

**ხუთშაბათი:**

**საუზმე** – ვერმიშელის ტკბილი ფაფა, პური, უშაქრო ჩაი.

**სადილი** – ქათმის ხორცის სუპი მაკარონით, ბოსტნეულის სალათა.

**ვახშამი** – ჩინური ფლავი, ჩაი შაქრით.

**პარასკევი:**

**საუზმე** – მანანის ტკბილი ფაფა, პური, უშაქრო ჩაი.

**სადილი** – ლობიო, ბოსტნეულის სალათა.

**ვახშამი** – ჩაშუშული კარტოფილი, შაქრიანი ჩაი.

**შაბათი:**

**საუზმე** – წიწიბურას ფაფა, შაქრიანი ჩაი.



**სადილი** – ბარდის სუპი, კომბოსტოს სალათა.

**ვახშამი** – მოხარშული თევზი, კარტოფილის პიურე, შაქრიანი ჩაი.

**კვირა:**

**საუზმე** – ვერმიშელის ტკბილი ფაფა, უშაქრო ჩაი.

**სადილი** – ქათმის ხორცის სუპი ბრინჯით, კომბოსტოს სალათა.

**ვახშამი** – სოსისი, წიწიბურა გარნირით, შაქრიანი ჩაი.

მენიუ გამოკრულია კოლონიის შესასვლელშივე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, ამ მენიუსგან თითქმის არაფრით განსხვავდება სხვა ციხე-კოლონიების ულუფა.

ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, თუ რა თანხას ხარჯავს ხელისუფლება თითოეული პატიმრის გამოკვლევაზე, არ ქვეყნდება. სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ ეს თანხა 94 თეთრსა და ერთ ლარს შორის მერყეობს!

### შიმშილისა და ტუბერკულოზისთვის განწირულები

**ნინო ელისაბედაშვილი (დიეტოლოგი):** „ამგვარი რაციონის მომზადება თუნდაც 1 ლარად, შეუძლებელია. მათ მომზადებას დამატებით ესაჭიროება ზეთი, მწვანილი, მარილი, ცხიმი და მიუხედავად ამისა, კერძი კალორიული ვერ იქნება. ადამიანი შეეცდება შიმშილის გრძნობა პურის დიდი ოდენობით მოიკლას. არაკალორიული საკვების სისტემატურ მიღებას აუცილებლად მოჰყვება ორგანიზმის დასუსტება. იმუნიტეტდაქვეითებულ, დასუსტებულ ორგანიზმს ნებისმიერი ავადმყოფობა ადვილად ერევა, განსაკუთრებით ტუბერკულოზი...

პატიმართა კვების კალორიულობის ზრდის თვალსაზრისით ჯერჯერობით დადებითს არაფერს არ უნდა ველოდოთ: ბიუჯეტი დაფინანსების გაზრდას არ ითვალისწინებს. სამაგიეროდ, იზრდება ტუსალთა რაოდენობა.

როგორც არასამთავრობოები აღნიშნავენ, ხელისუფლება საპატიმროში მოხვედრილებს სასიკვდილოდ, უკეთეს შემთხვევაში, დასაავადმყოფებლად იმეტებენ.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი: რუსეთს კვლავ სურს ჩემი ჩამოგდება



**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ესმის — მას არ შეუძლია ძალით დაიბრუნოს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ამბოხებული ოლქები, მაგრამ ეშინია, რომ მოსკოვს აქვს გეგმები თბილისის წინააღმდეგ.**

თავის ინტერვიუში, რომელიც სააკაშვილმა მოგვცა რუსეთთან ომიდან ერთი წლის შემდეგ, იგი ამტკიცებს, რომ მსოფლიომ არ მოუწოდა რუსეთს პასუხისმგებლობისაკენ „ქართველთა მასობრივი ეთნიკური წმენდის გამო“, რასაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს.

სააკაშვილის სიტყვებით, ის, რომ იგი ინარჩუნებს თავის პოსტს — „თითქმის სასწაულია“. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ, მართალია, შეიძლება თავიდან ავიცილოთ ახალი ომი, რუსეთი, რომლის ჯარებიც დგანან საქართველოს საზღვრიდან 50 კილომეტრში, არ გვიტოვებს ამის იმედებს.

„მე ისევ ვზივარ ამ კაბინეტში, თუმცა პუტინი სერიოზულად დამპირდა ჩამომკიდოს სხეულის სხვადასხვა ნაწილით და გათელოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა“, — ამბობს სააკაშვილი.

როგორც სააკაშვილი აცხადებს, საქართველოს არ აქვს განზრახული დაიბრუნოს სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი ძალით. გასულ თვეში საქართველოში მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმაც შენიშნა, რომ „რეინტეგრაცია სამხედრო გზით შეუძლებელია“.

შეკითხვაზე იმის შესახებ, სურს თუ არა ვინმეს ევროპაში ახალი ომი რუსეთის მონაწილეობით? პასუხი აშკარაა — „არა“. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვიცე-პრეზიდენტს ბაიდენს და ჩვენ მას სრულიად ვეთანხმებით“, — ამბობს სააკაშვილი.

შარშან დასავლეთმა დაგმო რუსეთის რეაქცია, როგორც „არაპროპორციული“, მაგრამ ამავე დროს სააკაშვილს ბრალი დასდო სამხრეთ ოსეთზე თავდასხმაში, რომელიც ისე, როგორც აფხაზეთი, გამოვიდა საქართველოს ხელისუფლების კონტროლიდან ომების შედეგად 90-იანი წლების დასაწყისში.

რუსეთი გვარწმუნებს, რომ იძულებული იყო ემოქმედა მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამშვიდობოების გადასარჩენად. იგი კვლავ აცხადებს, რომ სააკაშვილი სახიფათოა, მაგრამ ანალიტიკოსებს ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ მოსკოვი მზადაა დაიწყოს ომი მის დასამხობად.

მიუხედავად შეთანხმებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც მხარეებმა უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები ომამდელ პოზიციებზე, რუსეთი ახორციელებს კონტროლს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე.

ათეული ათასობით კაცი ორივე მხრიდან იძულებული გახდა დაეტოვებინა თავიანთი სახლები. როგორც სამართალდამცველები იტყობინებიან, ომის დროს ქართველები ცხინვალის მისამართით აწარმოებდნენ განურჩეველ სროლას, რუსები კი, თავის მხრივ, არ უშლიდნენ მეამბოხეებს ექარცვათ და ენადგურებინათ ქართული სოფლები.

ლტოლვილი გახდა დაახლოებით 25 ათასი ქართველი.

სააკაშვილმა შეინარჩუნა პრეზიდენტის პოსტი, მიუხედავად ოპოზიციის მრავალთვიანი პროტესტებისა, რომელიც მას ბრალს სდებს, რომ მან მოახდინა ხელისუფლების მონოპოლიზაცია. პრეზიდენტი არ ეთანხმება თავისი საქმიანობის ასეთ შეფასებას, თუმცა აღიარებს, რომ „რაიმეს გაკეთება შეიძლებოდა უკეთესად“.

მეტ რობინსონი

REUTERS

# ხუთდღიანი ომის წლისთავი საქართველოს აშინებს

**რუსეთ-საქართველოს ომამდე ერთი კვირით ადრე ვითარება სადავო რეგიონში დაძაბულია. საქართველო ბრალს სდებს რუსეთს მცდელობაში „ხელში ჩაიგდოს მიწის სტრატეგიული მონაკვეთი“, სამხრეთი ოსეთი ჩივის ნაღმების სროლის გამო, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო იმუქრება „ყველა არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით“.**

შარშანდელი კონფლიქტი კვლავ „გრძელ ჩრდილს აყენებს მთელს კავკასიას და აისახება მოსკოვის ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებზე, წერენ მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

საქართველომ ბრალი დასდო რუსეთს მცდელობაში — დაეკავებინა სამხრეთ ოსეთთან საზღვარზე დამატებითი ტერიტორიის პატარა მონაკვეთი, წერს „ნიუ იორკ ტაიმსი“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთის სადაზვერვო ჯგუფები შევიდნენ სოფელ ქვეშში, სადავო რეგიონში, რათა გადაეწიათ საზღვარი რამდენიმე ასეული მეტრით სტრატეგიულად მომგებიან პოზიციებზე.

რუსეთმა ბრალი დასდო საქართველოს ნაღმების სროლაში სამხრეთ ოსეთის მიმართულებით და გააფრთხილა იგი, რომ გამოიყენებს „მათ ხელთ არსებულ ყველა ძალას და საშუალებას „სეპარატისტული ტერიტორიის დასაცავად“, წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების წლისთავამდე ერთი კვირით ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი იტოვებს უფლებას გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა დაიცვას სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები, იტყობინება ფრანგ „ფუტერ ალგემაინი“.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ისარგებლა მომენტით, რათა ეთხოვა მოსკოვისათვის რესპუბლიკაში ახალი ჯარებისა და მძიმე შეიარაღების გაგზავნა, აგრეთვე კვლავ დააყენა საკითხი რუსეთთან გაერთიანების შესახებ, თუმცა ჯერჯერობით მოსკოვმა უარყო ეს გეგმა, აღნიშნავს გაზეთი.

საერთაშორისო მეთვალყურეებს ეშინიათ ახალი მასშტაბური შეიარაღებული კონფრონტაციისა. თუმცა, როგორც ისინი მიიჩნევენ, დღევანდელი სიტუაცია განსხვავდება შარშანდელისაგან. საქართველოს საზოგადოებრიობა და არმია არაა მზად სამხედრო ავანტიურისათვის, ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, მიუხედავად იმისა, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ზეგავლენას ახდენენ საქართველოს ხელმძღვანელებზე ახალი სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

პრესის მიმოხილვა



# საქართველოს შეტევა რუსეთზე 2008 წელს ნატოს ვალდებულებებისგან ათავისუფლებს

**ერთი წლის წინათ საქართველომ შეუტია რუსეთს. ეს ჰგავს იმას, რომ იამაიკა თავს დაესხას შეერთებულ შტატებს. ეს გადაწყვეტილება იყო ისეთი სულელური და წინასწარგანწირული, რომ თავდაპირველად ხალხის უმრავლესობამ ირწმუნა ქართული პროპაგანდა, რომელიც ბრალს სდებდა რუსეთს თავდასხმაში.**

რასაკვირველია, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უბრალოდ არ შეეძლო გაეკეთებინა რაიმე ამაზე სულელური. მაგრამ ეს მან გააკეთა და, რასაკვირველია, წააგო კიდეც. მაგრამ ჩვენ დღემდე იძულებული ვართ გვქონდეს საქმე ამ ერთკვირიანი ომის ორ შედეგთან. ჯერ ერთი, დასავლეთში ბატონობს თვალსაზრისი, რომ „რუსეთის დათვი“ გადაიქცა ბოროტ დამპყრობლად. ასეთი შთაბეჭდილება დატოვეს დასავლეთის პრესის რეპორტაჟებმა. მეორეც, საქართველოს მიეცა დახმარების დაპირება, რაც უნდა მომხდარიყო.



ერთი წლის განმავლობაში ნათელი გახდა, რომ საქართველოს თავდასხმა გამოთიშული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენის მიზნით დაგეგმილი იყო წინასწარ. რუსებმა მხოლოდ უპასუხეს მას. მას შემდეგ, რაც მისი სამშვიდობო ჯარები სამხრეთ ოსეთში აღმოჩნდნენ ქართული შეტევის ობიექტი. მაგრამ ქართველებმა მოიგეს პროპაგანდისტული ომი.

სააკაშვილმა დაგვიხატა რუსები, როგორც ბოროტი აგრესორები, გამოიყენა თავის სიტყვებში „ცივი ომის“ სტერეოტიპები: „რუსეთის ომი საქართველოსთან არის 1939 წლის ფინეთის, 1956 წლის უნგრეთის და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენათა გამოძახილი“, — განაცხადა მან „ვაშინგტონ პოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში 2008 წლის აგვისტოში. ეს განცხადება დაემთხვა დასავლეთის წინასწარ რწმენებს, ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სიხარულით აიტაცეს იგი.

ეს გააკეთა პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯონ მაკეინმაც, რომელმაც დაგმო „რუსეთის გააფთრებული აგრესია“ და განაცხადა, რომ „რუსეთის მოქმედებებს, რომლებიც აშკარად არღვევენ საერთაშორისო კანონებს, ადგილი არა აქვს 21-ე საუკუნის ევროპაში“.

ბარაკ ობამა უფრო ფრთხილი იყო, მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიის შუაგულში მყოფმა გადაწყვიტა არ გაეხსნა თავისი ფლანგები „ცივი ომისათვის“.

ევროპული თვალსაზრისით, მეორე პრობლემა იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მცდელობა — მიეღოთ საქართველო და მეორე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა უკრაინა ნატოში. ეს ქვეყნები რუსეთის სამხრეთით იმყოფებიან და არა მასსა და დასავლეთ ევროპას შორის.

მათი ჩართვა დასავლეთის ალიანსში შეაშფოთებს და გაალიზიანებს რუსებს, ამას გარდა ნატოს არ გააჩნია არავითარი განსახორციელებელი საშუალება — დაიცვას ეს ქვეყნები, თუ ისინი დაიწყებენ ბრძოლას რუსეთთან.

სინამდვილეში ეს შეშფოთება შეიძლება გამხდარიყო მთავარი მოტივი ევროკავშირის მისიის შექმნისათვის, რომელიც იკვლევს ომის პირველ მიზეზებს. კომისიას ხელმძღვანელობს შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავანი. უკვე თითქმის ერთი წელიწადია აგროვებს იგი დამამტკიცებელ საბუთებს. თუ კომისიის დასკვნები ბრალს დასდებენ საქართველოს ომში, მაშინ უკრაინა და საქართველო არ იქნებიან სასურველი ბრიუსელში.

ზოგიერთი დასკვნა გადაეცა გერმანულ ჟურნალ „დერ შპიგელს“ გაზაფხულზე. მასალებში იყო იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ საქართველომ წინასწარი განზრახვით მოუყარა ჯარებს თავი საზღვართან და დაიწყო მოულოდნელი შეტევა სამხრეთ ოსეთზე, რათა დაებრუნებინა კონტროლი მანამ, ვიდრე რუსეთი შეძლებდა პასუხის გაცემას ამ მოქმედებებზე.

7 აგვისტოს ღამით 16-დან 20 ათასამდე ქართველი მეომარი, შეიარაღებული თანამედროვე ამერიკული იარაღით თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის მილიციას და 1000 რუს სამშვიდობოს, რომლებიც რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ.

არ იყო გასული რამდენიმე საათიც, რომ ადგილობრივი დედაქალაქი ცხინვალი ქართველების ხელში აღმოჩნდა და ათობით რუსი ჯარისკაცი დაიღუპა და დაიჭრა.

მოსკოვმა უმალვე მოახდინა რეაგირება და 8 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომელთა შორისაც იყო ჯავშანტექნიკა, გაიგზავნა რუსეთის სამხრეთისაკენ ჩრდილოეთ ოსეთისა და გვირაბის გავლით. კიდევ ერთი დღის შემდეგ ქართული ჯარები გამოდევნეს სამხრეთ ოსეთიდან და რუსები გამოედევნენ მათ საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა თვის ბოლოს იმათ დაიხიეს ძველ პოზიციებზე.

ბრიტანეთის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი, სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტის კონფლიქტებისა და თავდაცვითი დიპლომატიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლონდონში კრისტოფერ ლენგტონი ომის შემდეგ აკეთებს დასკვნას და აცხადებს: „საქართველოს ოცნებები დაიმსხვრა, მაგრამ ქვეყანაში ბრალს ვერავის დასდებ საკუთარი თავის გარდა“.

straight.com

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office for the South Caucasus
Georgia, Embassy of Switzerland

Embassy of Italy in Tbilisi
Italian Development Cooperation

# ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - SDC, რომელიც წარმოადგენს შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილს და იტალიის საელჩო- იტალიის განვითარების თანამშრომლობა - IDC აცხადებენ ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევენ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო კომპანიას, წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები.

**პრეამბულა**

საქართველოში სოციალურად დაუცველი ფენისაკენ მიმართული (მიმდინარე) სოციალური რეფორმების თანახმად, ასევე ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის'', მისი სამოქმედო გეგმის და მთავრობის პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად,

SDC გაერო-ს ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერითა და IDC-თან თანამშრომლობით დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას ამჟამად კოლექტიურ ცენტრებში და/ან არაადეკვატურ კერძო საცხოვრებლებში მცხოვრები სოციალურად ყველაზე დაუცველი და იზოლირებული იძულებით გადაადგილებული პირების, რომელთაც საბინაო პრობლემები აქვთ და ასევე სოციალურად დაუცველი, სოციალურად იზოლირებული და უსახლკარო ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით მდგრადი და ხანგრძლივი გზით უზრუნველყოფაში და ახორციელებს პილოტურ პროექტს ,,სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში''

**შესყიდვის ობიექტები**

**თბილისი 1** ერთი სამსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 12 ბინა) მშენებლობა მისამართზე, ვარკეთილი III, 2 მიკრორაიონი (საერთო მოცულობით დაახლოებით 2075.35მ³).

**თბილისი 2** ერთი სამსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 12 ბინა) მშენებლობა მისამართზე, ვარკეთილი III, 2 მიკრორაიონი (საერთო მოცულობით დაახლოებით 2075.35მ³). დაფინანსდება IDC-ს მიერ.

**ბათუმი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მშენებლობა მელიქიშვილისა და ოსტროვსკის ქუჩების გადაკვეთაზე (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³).

**ქუთაისი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) ზ. ჭავჭავაძის ქუჩა № 24 სკოლის დასავლეთით, ნაკვეთი №11-12 (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³).

**ზუგდიდი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მისამართზე ჩაის ფილიალი (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³) მე-10 სკოლის მახლობლად.

**გორი** ორი ორსართულიანი სოციალური საცხოვრებლის (სულ 14 ბინა) მოსკოვის ქუჩა გორის ყოფილი ბამბეულის მიმდებარე ტერიტორია (საერთო მოცულობით დაახლოებით 3162.09 მ³).

**სატენდერო მოსაკრებელი**

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობაა 300 ლარი.

გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის სახით შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო - SDC

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 204933457

მიმღების ანგარიში: 1609906

მიმღების ბანკი: 'თი-ბი-სი'' ბანკის ცენტრალური ფილიალი

საბანკო კოდი: 220101830

დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი 7F-05031.03

**ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

(წარმოდგენილი უნდა იქნეს შევსებულ სატენდერო განაცხადთან ერთად)

- ზოგადი ინფორმაცია (კომპანიის საკვალიფიკაციო მონაცემები)
- ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ფინანსური ბრუნვის შესახებ
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ
- ცნობა კომპანიის რეგისტრაციის შესახებ
- ცნობა სასამართლოდან, რომ კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება და/ან მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
- საგადასახადო ინსპექციაში კომპანიის რეგისტრაციის მოწმობა
- ცნობა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში არსებობის ან იჯარაში აღების, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დადასტურებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ

**ვადები**

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია SDC-ის ოფისში მისამართზე: რადიანის ქ. 9, თბილისი 0179, საქართველო, 2009 წლის 14 აგვისტოს 17:00 სთ-მდე.

შევსებული სატენდერო განაცხადი დახურულ კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნეს SDC-ის ოფისში მისამართზე: რადიანის ქ. 9, თბილისი 0179, საქართველო, 2009 წლის 21 აგვისტოს 17:00 სთ-მდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ეკა ჩიგოგიძეს ან ლელა მამრიკიშვილს, ტელ: (+995 32) 22 37 21 / 25 36 82/3.

**◉ განათლება**

***აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი მინისტრი ჰყავს – დალი ხომერიკი. ის პროფესიით დასავლური ენების სპეციალისტია, რომელმაც სულ რამდენიმე თვეა ამერიკის კოლუმბიის უნივერსიტეტის დიპლომი აიღო და საქართველოში დაბრუნდა. მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა მშობლიური გუდაუთის დატოვება მოუწია. ომის დროს, სხვა მისი თანატოლებისგან განსხვავებით, ბედმა გაუღიმა, რადგან „წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციაში“ თარჯიმნის მაღალანაზღაურებადი სამსახური შესთავაზეს. ხოლო შემდეგ თბილისის ორგანიზაციაში განაგრძო მუშაობა.***

# აფხაზეთის მთავრობის ახალი მინისტრის გეგმები



## დალი ხომერიკი განათლების სისტემის ეფექტიანობას სკეპტიკურად უყურებდა

ამის შემდეგ ქალბატონ დალის დიდხანს მოუწია არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობა სწორედ განათლების მონიტორინგის კუთხით, საიდანაც უკეთ მოჩანდა ის ხარვეზები, რაც ამ სფეროში სამთავრობო სტრუქტურების მუშაობას ახასიათებდა. სანამ მინისტრი გახდებოდა, აფხაზეთის განათლების სამინისტროს ქმედითუნარიანობასა და ეფექტიანობას სკეპტიკურად უყურებდა, თუმცა ახლა ამბობს, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმის კეთება არის შესაძლებელი.

დალი ხომერიკმა სულ ორიოდე კვირაში შეძლო ორი მთავარი მიზნის გამოკვეთა. ეს არის ცენტრალური განათლების სისტემასთან პარალელურ რეჟიმში თანამშრომლობა და ამავე დროს, დონორი ორგანიზაციების მოძიება და მათი ხელშეწყობით სხვადასხვა გეგმის განხორციელება. მინისტრი ფიქრობს, რომ სამინისტრო უფრო ინსტიტუციონალური უნდა გახდეს, რადგან ამ კუთხით მას დახვეწა და განვითარება სჭირდება.

მაგრამ უმთავრესი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ეს არის „მშვიდობის განათლების“ კონცეფცია, რომელიც მან წამოაყენა. ამ დარგში ქალბატონი დალი კოლუმბიის უნივერსიტეტში დახელოვნდა. **რას გულისხმობს „მშვიდობის განათლება“? — ეს არის მრავალკულტურულ და სხვადასხვა ეთნიკურ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაცხოვრების პირობების შექმნა და განვითარება. ამისთვის ჩვენი ახალგაზრდები მზად უნდა იყვნენ, — ამბობს მინისტრი, — რადგან საქართველოში ისედაც ბევრი ეთნიკური უმცირესობაა, ხოლო თუ აფხაზეთში მოუწევთ დაბრუნება, მით უფრო გამოადგებათ ასეთი კომპაქტური მიდგომა იმ საკითხებისა და პრობლემებისადმი, რაც იქ დახვდებათ.** „მშვიდობის განათლების“ განსახორციელებლად უკვე არსებობს თანმიმდევრული გეგმა, თუმცა, მუშაობის ეს პერიოდი მინისტრმა მთლიანად არასამთავრობო სექტორსა და დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრებს დაუთმო. ეს ორგანიზაციები აქამდეც ეხმარებოდნენ დევნილებს განათლების განვითარების კუთხით, მაგრამ ქაოსურად, სამინისტროს ასეთი პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა და ბუნებრივია, ვერც იმის მონიტორინგს გასწევდა, მიდიოდა თუ არა დანიშნულების ადგილამდე დახარჯული თანხა, — ამბობს ქალბატონი ლალი. ის საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს, მაგრამ რამდენიმე სამმართველო შეიძლება დაემატოს, რომელიც სწორედ ინსტიტუციონალურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

**დევნილმა ახალგაზრდებმა ისეთივე სრულუფლებიან წევრად უნდა მიიჩნიონ თავი, როგორებიც მათი თანატოლები არიან. ისინი აქტიურად უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო კონკურსებში, გაცვლით პროგრამებში, კვლევებში. ისინი თავდაჯერებულნი და კონკურენტუნარიანი უნდა გავხადოთ, რათა უხეშად თუ ვიტყვით, არ გაუჭირდეთ საკუთარი რესურსის ბაზაზე გაყიდვა,** — განაცხადა მინისტრმა.

მაგრამ არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით აშფოთებს ქალბატონ დალის. ის, რომ ახალგაზრდები თითქმის არ იცნობენ აფხაზეთს. „იცნობდეთ აფხაზეთს“! — ამ დევიზით გეგმავს საკვირაო სკოლებში სპეციალური წრეების ჩამოყალიბებას, სადაც იქნება საუბრები აფხაზეთის შესახებ, გაიმართება შეხვედრები ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, მოეწყობა გამოფენები, კონცერტები და სხვა.

**ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდება, რომ დევნილ ახალგაზრდებში პატრიოტული მუხტი არ ჩაქრეს, არ მოხდეს გაუცხოება და არ გაუქრეთ მათ მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნების სურვილი. რადგანაც მინისტრს კარგად ესმის, რომ მომავალში შეიძლება კიდევ უფრო გაუჭირდეს ახალ თაობას იმ ქართული კუთხის შეყვარება, რომელიც თვალითაც არ უნახავს.**

ნია ფიფია

◎ ნარდი

# ფავორიტები პოზიციებს თმობენ



**სამორინე „აჭარაში“ გრძელდება გოგი ბუკიას საერთაშორისო მემორიალი ნარდში. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით იმართება. მასში მასპინძლებთან ერთად ამერიკის, ისრაელის, ავსტრიის, საბერძნეთის, გერმანიის, ირანის, თურქეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები მონაწილეობენ.** მათ შორის არიან მატვეი ნატანზონი (ისრაელი, მსოფლიო რეიტინგით №1 მონარდეძ, ჯეიკობ რაისი (ამერიკის პირველი ხუთეულის მოთამაშეძ, 2007 წლის ევროპის ჩემპიონი ვერნერ შმუკი (ავსტრიაძ, მოყვარულებში 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი საბულუა და ოსტატთა ტურნირის გამარჯვებული ბორის მამფორია (ორივე – საქართველოძ.

პირველ წრეში კახა ნაჭყებიამ (საქართველოძ ირაკლი საბულუას აჯობა, ლევონ პეტროსიანმა (სომხეთიძ ელი როინი (ისრაელიძ დაამარცხა, არტურ მარტიროსიანმა (სომხეთიძ იურგენ ორლოვსკის (გერმანიაძ მოუგო, ჯეიკობ რაისმა (აშშძ – ფრანც ბერგს (ავსტრიაძ, არტურ მურადიანმა (სომხეთიძ – ვერნერ შმუკს (ავსტრიაძ, თამაზ გიორგობიანმა – ბორის მამფორიას (ორივე – საქართველოძ, ნოდარ გაგუამ (საქართველოძ – ფუად ერდაგს (თურქეთიძ, ხოლო მატვეი ნატანზონმა (ისრაელიძ – თემურ უგულავას (საქართველოძ სძლია.

გუშინ გვიან ღამით მეორე და მესამე წრის შეხვედრები დამთავრდა. დღეს ფინალური ორთაბრძოლა და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: თემურ უგულავას (მარცხნივძ და მატვეი ნატანზონის შეხვედრის მომენტი. ავტორის ფოტო.**

◎ ჩემპიონი

# გაგრიდან — მონტე-კარლომდე

**ბორის მამფორია გაგრელია. ბავშვობისას ფეხბურთით ყოფილა გატაცებული. სტუდენტობისას „ისნის“ შემადგენლობაში საქართველოს პირველობაზეც უთამაშია.** სამი ათეული წელიწადია, მოსკოვში ცხოვრობს. მონარდეთა შეჯიბრებებში 1997 წლიდან მონაწილეობს – პირველ საერთაშორისო ტურნირში მოყვარულთა შორის მე-4 იყო. მას შემდეგ ხშირად აღწევს წარმატებებს. მონტე-კარლოში მოყვარულთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორჯერ მეორე ადგილი დაიკავა, წლეულს კი ოსტატთა შორის ყველას სძლია – ზედიზედ შვიდ მეტოქეს აჯობა, მათ შორის ფინალში – დანიელს 23:17. 2003 წელს ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირზე ნოდარ გაგუასთან ერთად წყვილებში მთავარი პრიზი მოიპოვა, 2007 წელს კი ისინი მონტე-კარლოში იყვნენ პირველნი. გოგი ბუკიას მემორიალში მეორედ მონაწილეობს.



**სურათზე: ბორის მამფორია (მარცხნივძ და ნოდარ გაგუა. ვაჟა დანელიას ფოტო.**

◎ ჩოგბურთი

# საქართველოს კვარტეტი — ყაზახეთში

**ასტანაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი – 50 ათასი დოლარიძ. რეიტინგის წყალობით ძირითად ბადეში მოხვდნენ ოქსანა კალაშნიკოვა და სოფიო შაფათავა, რომლებიც პირველ წრეში, შესაბამისად, მე-5 ნომრად განთესილ უკრაინელ იულია ფედაკს და მე-6 ნომერ რუსს – ალექსანდრა პანოვას ეთამაშებიან.**



მთავარ ბადეში მოხვედრის შანსი აქვთ ეკა გორგოძესა და თათია მიქაძეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე მათ რუსი ელინა ჰასანოვა (6:0, 6:1ძ ამერიკელი ვერონიკა ბირიუკოვა (6:2, 6:2ძ დაამარცხეს. მეორე წრეში იანა კოროლიოვას და ქსენია მოსკალს დაუპირისპირდებიან.

◎ ჭადრაკი

# ავმხედრდებით ტროას ცხენზე?



**თურქეთის ქალაქ კესანში დამთავრდა მე-7 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 89 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 7 შესაძლებლიდან 6-6 ქულით პირველი-მეორე ადგილები თურქმენმა მეილის ანაბელდიევმა და თბილისელმა მალხაზ სულაშვილმა გაინაწილეს.**

ორივე მოჭადრაკე ამჟამად ტროას საერთაშორისო ტურნირში იბრძვის მთავარი პრიზისთვის დანარჩენ 170 ქალ-ვაჟთან ერთად მრავლად არიან საქართველოს წარმომადგენლები. სამი ტურის შემდეგ ჩვენებურთაგან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს მალხაზ სულაშვილმა, ბაჩანა მორჩიაშვილმა, დავით მაღალაშვილმა, შოთა აზალაძემ, დავით ზარქუამ, გიორგი ბაღათუროვმა და არმენ გრიგორიევმა. ტურნირზე შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება.

◎ ძიუდო

# რას გაიმეტებენ მადიარები?



**უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი 6 აგვისტოდან ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები ჯემალ ნათელაშვილის ხელმძღვანელობით შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით გამოვა:** ლაშა კვირიკაშვილი (50 კგძ, ლუხუმ ჩხვიმიანი (55ძ, ბექა ტულუში (60ძ, ირაკლი ლომიძე (66ძ, ბაჩანა ტიტვინიძე (73ძ, ლევან რუაძე (81ძ, ელგუჯა ბიბილაშვილი (90ძ და როსტომ ხახალეიშვილი (+90ძ.

საგულისხმოა, რომ ამ ბიჭებმა ამას წინათ ფინურ ტამპერეში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე იასპარეზეს, ჩხვიმიანმა მესამე ადგილი დაიკავა, ტულუშმა და რუაძემ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

ბუდაპეშტში გიორგი თენაძის შეგირდებიც – ნონა მერაბიშვილი (52ძ, სოფო ბერიძე (57ძ და თეონა სუხიტაშვილი (70ძ იჭიდავებენ.

◎ ჭიდაობა

# რეპეტიციას ვარშავაში გაივლიან



**წლეულს 21-27 სექტემბერს დანია მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი ფალავნები. საშეჯიბრო გამოცდილების გამდიდრების მიზნით თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ვარშავის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრებიან.**

მთავარი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით პოლონეთის დედაქალაქში იბრძოლებენ: ბესარიონ გუჩაშვილი (57ძ, მალხაზ ზარქუა (60ძ, ოთარ თუშიშვილი და მალხაზ მუზიაშვილი (ორივე 66ძ, გელა სალირაშვილი და გოჩა ლომთათიძე (74ძ, ლერი ქეთიშვილი (84ძ, გიორგი გოგშელიძე (96ძ და ლექსო მოდებაძე (120ძ. ნაკრები ამჟამად ბათუმშია საწვრთნელ შეკრებაზე.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა , კ ო ნ კ უ რ ს ი

### „განცხადება საჯარო სამართის იურიდიული პირის – სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე“

**1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:**

აძ მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის ლაბორატორიის ხელმძვანელი (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელიძ;

ბძ გეომაგნიტური გამოსხივებისა და ეკოლოგიური პრობლემების კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (ჴმთავარი მეცნიერ-თანამშრომელიძ;

გძ კრიოგენული ტექნიკისა დატექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძვლანელი (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელიძ;

ვძ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

**2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

აძ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბძ კალენდარული ავტობიოგრაფია (სმძ;

გძ დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დძ გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ეძ 1 სამეცნიერო ნაშრომისჴსტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსჴკვლევის უნარს;

ვძ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.ძ;

ზძ შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართიძ (სასურველიაძ;

თძ სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველიაძ;

იძ პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველიაძ.

**3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:**

აძ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაშიძ,

ბძ პატენტები,

გძ მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში,

დძ მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

ეძ სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიური ხედვა;

ვძ კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

**4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 4 წლის ვადით.**

**5. საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 5 აგვისტოდან.**

**მისამართი: ა. ყაზბეგის 15. თბილისი, საქართველო, 0160.**

**6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 27 აგვისტო, 17 სთ.**

**7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 31 ფპმშთეწთ.**

**8. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ა. ყაზბეგის 15. თბილისი, საქართველო, 0160.**

**Website: www.sipt.org e-mail: sipt@sipt.org; ტელ: ((995 32ძ 335520.**

**პასუხისმგებელი პირი**

**იური ნოდია**

SIC!

# პოპმეფე და რუსი ექიმი

**არა და არ წყდება მითქმა-მოთქმა მაიკლ ჯექსონის სიკვდილის გარშემო. ცხოვრებიდან პოპმუსიკის მეფის წასვლამ მსოფლიოში მრავალსა და მრავალს დაუკარგა მოსვენება. ტელეეკრანზეც და პრესაშიც ჩნდება და მკვიდრდება ვერსია, თითქოს მაიკლი მოკლეს...**

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საგულისყურო უნდა იყოს ექიმ ევგენი აქსიონოვის შეხედულებები პოპვარსკვლავზე და მისი გარდაცვალების მიზეზებზე. ეს გახლავთ **სახელგანთქმული რუსი ექიმი, რომელიც 45 წლის მანძილზე პრესტიჟული კლინიკების ქსელს უძღვება იაპონიის დედაქალაქში.** აქსიონოვი 13 წლის განმავლობაში აკვირდებოდა ჯექსონს და ირწმუნება, რომ ჯერ კიდევ 3 წლის წინათ აფრთხილებდა — წამლებმა შეიძლება დაგღუპონო.



რუსი ექიმის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს მისი ამჟამინდელი პაციენტების ჩამონათვალი: მადონა, გორბაჩოვი, შირაკი... არა, კერპის პერსონალური მკურნალი ის არ ყოფილა, მაგრამ სხვადასხვა დროს ოთხჯერ ჰქონდა ჯექსონის პირადად გასინჯვისა და მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის შესაძლებლობა. მოვუსმინოთ ექიმ აქსიონოვს:

— პირადად ჩემთან ტოკიოში მაიკლი 1996 წელს ჩამოვიდა. გავუსინჯე გული, ფილტვები, ღვიძლი, ფარისებრი და ნაწლავები, დიაბეტზე შევამოწმე; მაშინ ყველა ორგანო კარგად უმუშავებდა, თუმცა სერიოზული პრობლემა ჰქონდა კანთან დაკავშირებით. თავს იჩენდა სახეზე გაკეთებული 10-ზე მეტი პლასტიკური ოპერაცია. თანაც **მომღერალი ძალიან ბევრ სტეროიდს ხმარობდა** (სამკურნალო ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმში შეჰყავთ კუნთების მასებისა და სხეულის საერთო მასის გასადიდებლად — რედ.). მძიმე სამუშაოს უჩიოდა — სცენაზე სირბილს, ხტუნვას, სიმღერას. გამოთეთრებული კანის მიზეზით მგრძნობიარე იყო მზისა და კაშკაშა სინათლის მიმართ. ვიუხერხულე შეკითხვა, რანაირად ითეთრებდა კანს, მაგრამ წაკითხული მქონდა, რომ **ვიტილიგოს ავადმყოფობა აწუხებდა** (კანის დაავადება, რომლის დროსაც ადამიანს თეთრი ლაქები უჩნდება); ეს მაინც არ იყო საკმარისი, რომ ისე თეთრ კაცად ქცეულიყო, როგორიც მაშინ ვნახე.

მე ვფიქრობ, რომ სახესა და ყელს მძლავრი ჰორმონული პრეპარატებით იზელდა და სწორედ ისინი იწვევდნენ კანის ნეგატიურ რეაქციას მზესა და სინათლეზე. სამედიცინო პრაქტიკაში ვერ ვიხსენებ მეორე ამგვარ შემთხვევას, შავკანიანი რომ გამხდარიყოს თეთრი.

პოპკერპის მეორე ვიზიტი ჩემს ერთ-ერთ კლინიკაში ორი წლის შემდეგ შედგა. ამჯერად მაიკლი უძილობას უჩიოდა. დროში განსხვავებისა და გაუთავებელი გადაფრენების გამო, შინაგანი გრაფიკი დაერღვა.: უწყინარი დასაძინებელი აბები გამოვუწერე.

მესამედ ბედმა 2003-ში შეგვყარა. გასტროლების დროს პოპ-მეფეს ავად გაუხდა გოგონა პერისი. პრესაში იმასაც ლაპარაკობენ, რომ მაიკლი არ გახლდათ თავისი შვილების ბიოლოგიური მამა. ორივე ბავშვი აბსოლუტურად თეთრი იყო და ჩემი აზრითაც, მაიკლი ვერ იქნებოდა მათი მშობელი მამა, ოღონდ როგორც ის ზრუნავდა შვილებზე, ბევრი მამა ამას ვერ დაიკვეხნის. შემიძლია თქმა, რომ მაიკლს ძალიან უყვარდა შვილები და ეშინოდა, არ მომტაცონო, თუმცა, ხუთ-შვიდკაციანი დაცვა ერტყა გარს. ტოკიოში ორჯერ ვივახშმეთ ერთად და იქ მიამბობდა თავის შიშზე.

მეოთხედ, ბოლო ჯერზე, სამი წლის წინათ გამოვიკვლიე. იმ მომენტისათვის უკვე ილებდა არაერთ საშიშ წამალს. პირველად მოხდა, რომ ვარსკვლავმა გარკვეული პრეპარატების გამოწერა მთხოვა, დემეროლი სასიცოცხლო ძალებს მმატებსო. არადა ეს პრეპარატი ნარკოტიკების კატეგორიას მიეკუთვნება. თავს სერიოზული საუბრის ნება მივეცი: „მაიკლ, თუ გააგრძელებ ნარკოტიკული წამლების მიღებას, მოკვდები. ყოველ ჯერზე მოგიწევს დოზის მომატება. ნარკოტიკების მომხმარებელნი სამ წელზე მეტს ვერ ცოცხლობენ. რეცეპტის მოპოვება თუ გინდა, სხვა ექიმებს უნდა მიმართო, მე უარს გეუბნები“. ამით დავშორდით.

იმასაც წერენ, თითქოს ბოლო წლებში ფინანსური სიძნელეები ჰქონდა. ჩვენ ყოველთვის ძალიან კარგად და დროულად გვიხდიდა ფულს, ვერაფერს ვერ ვიტყვი სხვას...

მე მაინც მგონია, რომ წამლები გახდა მაიკლის სიკვდილის მიზეზი. სამი წლის წინათ ხომ მოვუსმინე მის გულს, საუცხოოდ უცემდა. წნევაც ნორმაში ჰქონდა...

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

ხიდები

# ურთიერთმიტევება და ერთმანეთის ნდობა დაგვაახლოებს

## ქართველი და აფხაზი ნათესავების მორიგი შეხვედრა ხურჩაში

**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) ქართველი და აფხაზი ნათესავები ამჯერად ისევ ენგურსგაღმა სოფელ ხურჩაში შეახვედრა. ერთი თვის წინ ისინი ერთმანეთს სოფელ განმუხურში შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ პარალელურად ანალოგიური შეხვედრა აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარდა გალში.**

ქართველ და აფხაზ ნათესავებს ტრენინგები ჩაუტარა გამოცდილმა სპეციალისტმა ქალბატონმა ქრისტინე კილანავამ. ტრენინგის მონაწილეებმა გამოავლინეს კონფლიქტის მოგვარების, დარეგულირების საინტერესო მოსაზრებები. მათთვის ამ ეტაპზე მთავარია ქართველებსა და აფხაზებს შორის აღდგეს ურთიერთპატივისცემა და ნდობა, ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა ურთიერთმიტევება.



ამ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გალის რაიონში აფხაზებს ჩაენაცვლნენ რუსები, რომელსაც აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები. დადებითი ისაა, რომ რუსები სპეციალურად, აფხაზებისაგან განსხვავებით, უფრო პატივისცემით ეპყრობიან ადგილობრივ მოსახლეობას. მაგრამ უარყოფითი ფაქტორი კი რუსების მიერ მდინარე ენგურზე არსებული გზების გადაკეტვაა, რითაც შეუზღუდეს მოსახლეობის გადაადგილების საშუალება გალსა და ზუგდიდს შორის, რუსები აიძულებენ მათ, ისარგებლონ მხოლოდ ცენტრალური გზით.

„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით დაგეგმილი იყო ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში სავაჭრო ბაზრობების გახსნა, რომელიც იქნებოდა ქართველებისა და აფხაზების დაახლოების საუკეთესო საშუალება, მაგრამ როგორც გაირკვა, ამ სურვილის აღსრულებას ხელს უშლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ, რაც ამგვარ ადგილებში კრძალავს სამეწარმეო საქმიანობას.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი წუხილი ხელისუფლების მიერ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნის იგნორირების გამო. მათი განცხადებით დღემდე ხელისუფლებას შემუშავებული არა აქვს კონფლიქტის მოგვარების გეგმა, თუმცა ძალიან კარგად იციან, თუ რა განწყობაა სამოქალაქო საზოგადოებაში.

იმედია, ხალხის ნება და ამგვარი ურთიერთობები სასურველ შედეგს გამოიღებს და ოდითგანვე ძმა და ახლა მტრადქცეული ერები კვლავ ერთად იქნებიან გარეშე ძალთა ჩაურევლად.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

პერიოდიკა

# „ხელეურის“ კონკურსი

ამდენ საჟურნალგაზეთო რიარიაში უცებ გამოირჩა ლიტერატურული ჟურნალი „ხელეური“, რომლის გამომცემელია იულონ ტოლიაშვილი, ხოლო მთავარი რედაქტორი — თამარ შაიშმელაშვილი... ვნახეთ პირველი ნომერი კოლეგებმა, მეგობრებმა, ალალად მოვუწონეთ ჩვენ თამარს და უკეთესი ნომრების გამოცემა ვუსურვეთ. ჰოდა, აი, მეორე ნომერიც გამოსულა „ხელეურისა“. იგი ბევრი კარგი მასალითაა სავსე, არ აკლია ლექსი, პროზა, თარგმანი, ლიტერატურული ნააზრევი...

აქვე ქვეყნდება განცხადება სარედაქციო კოლეგიისა — **ჟურნალი „ხელეური“ აცხადებს კონკურსს რევაზ ინანიშვილის პრემიის მოსაპოვებლად მცირე პროზაში.**

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ნებისმიერი ასაკის ავტორებს. კონკურსის მიზანია ნიჭიერ ავტორთა წარმოჩენა.**

**მონაწილეებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ ჟურნალ „ხელეურის“ რედაქციაში კომპიუტერზე აწყობილი სახით, არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.**

**გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი ჯილდო — 500 ლარი. მეორე ადგილზე გასული დაჯილდოვდება 300 ლარით; მესამე ადგილზე კი — 150.**

**შედეგები შეჯამდება 1 იანვრისთვის. გამარჯვებული ნამუშევრები გამოქვეყნდება ჟურნალ „ხელეურში“, გამოიცემა კრებული, სადაც შევა კონკურსში მონაწილე ავტორების ნაწარმოებები.**




ხედავთ, პოეტებო, მწერლებო, დრამატურგებო?.. ჟურნალი „ხელეური“ „მწვანე“ შუქს გაძლევთ, ახლა ჯერი თქვენზეა!

**ლელა და გულიკო იაშალაშვილები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ დალი, ილო, ირაკლი ჯიქიებს შვილის და ძმისწულის**

**ილია (ბაცია) ჯიქიას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს და ნათესავებს.**

## კ ო ნ კ უ რ ს ი

**ქ. თბილისის ს.ს.ი.პ. №199 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სკოლის ტერიტორიის 24 კვ.მ. მიწის ფართის იჯარით გასაცემად ფიჭური კავშირგაბმულობის სადგურის ფუნქციონირებისათვის.**

საიჯარო ურთიერთობის ვადაა 5 (ხუთი) წელი.

მინიმალური წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 15 600 (თხუთმეტი ათას ექვსასი) ლარს.

განცხადებების მიღება იწარმოებს ამა წლის 7 სექტემბრის 18 საათამდე.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №49. ტელ: 392781; 877 491112.**

საქმე №2/535

# განჩინება

**საქართველოს სახელით**

**გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ**

21 ივლისი 2009 წელი ქ. ქუთაისი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილმა განიხილა გადახდისუუნარობის შესახებ ინდმეწარმე გოჩა წულაიას განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი,**

**გამოვარკვიე:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მომართა ინდმეწარმე გოჩა წულაიამ და მოითხოვა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა.

განმცხადებლის მითითებით ინდმეწარმე გოჩა წულაიას გააჩნია კრედიტორული დავალიანება, რომელთა გადახდის საშუალებაც არ გააჩნია, არსებულ კრედიტორულ დავალიანებათა შორის 25870,58 ლარი წარმოადგენს საგადასახადო დავალიანებას.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი განცხადება და თანადართული მასალები და მიაჩნია, რომ განცხადება აკმაყოფილებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს წარმოებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7, მე-17, მე-20, 21-ე 25-ე, 26-ე, 29-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. ინდმეწარმე გოჩა წულაიას განცხადება ინდმეწარმე გოჩა წულაიას მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებული იქნას წარმოებაში;

2. აეკრძალოს ინდმეწარმე გოჩა წულაიას ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა;

3. შეჩერდეს იძულებითი აღსრულება ინდმეწარმე გოჩა წულაიას მიმართ;

4. აიკრძალოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდეს ვალებისა და პროცენტების გადახდა;

5. კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2009 წლის 08 სექტემბერს 14 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობაში ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11, დარბაზი №4;

6. განემარტოს კრედიტორებს, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინონ სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით;

7. განჩინება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“;

8. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი 5 დღის ვადაში განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან ან მისი გამოქვეყნებიდან.

**მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი**

## ინფორმაცია

### აფხაზებს ეშინიათ ქართველების აფხაზებად ჩაწერა

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ოპოზიცია ერთობლივი განცხადებით გამოდის და აცხადებს, რომ იგი გალის რაიონის მცხოვრებთათვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების წინააღმდეგია. აღნიშნული ცვლილება „კანონში მოქალაქეობის შესახებ“ აფხაზურმა“ ე.წ. პარლამენტმა მცირე ხნის წინათ შეიტანა.

— ცვლილებათა თანახმად, გალის რაიონის ყველა მაცხოვრებელი აფხაზეთის მოქალაქედაა აღიარებული. პარლამენტმა ამ ნაბიჯის გადადგმით ჩვენი ქვეყნისათვის ყველა თანმდევი საფრთხის იგნორირება მოახდინა. ამ მომენტიდან აფხაზეთის ქართული ეროვნების მოქალაქეების რაოდენობა აფხაზი ეროვნების მოქალაქეების რაოდენობას უტოლდება, — აცხადებს ოპოზიცია.

მათივე თქმით, გალის რაიონის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას საქართველოს მოქალაქეობა აქვს და ისინი აფხაზეთის მოქალაქეებად ისე აღიარეს, რომ მათთვის საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა არც მოუთხოვიათ.

სეპარატისტული აფხაზეთის ოპოზიცია მოითხოვს, რომ აღნიშნულ კანონს სერგეი ბაღაფშმა ხელი არ მოაწეროს და განსახილველად კვლავ „პარლამენტს“ დაუბრუნოს.

### მაშველთა დაძაბული დღეები

ძლიერი წვიმის გამო, თბილისში 79 სამაშველო გამოძახება განხორციელდა. ამის შესახებ საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურიდან იტყობინებიან.

ძლიერი წვიმის შედეგად განსაკუთრებით ისან-სამგორისა და გლდანი-ნაძალადევის რაიონები დაზარალდა. მაშველები გამოძახებების დროს, ძირითადად, წყლის ამოტუმბვის სამუშაოებს აწარმოებდნენ.

წყალდიდობის შედეგად ქალაქში არავინ დაშავებულა.

ხი-ეიჩ-ენი



## დაიჯესტი

### დაკარგული დრო

**ამერიკელები ტყუილუბრალოდ კარგავენ სამუშაო დროის დაახლოებით 20 პროცენტს. ამას ადასტურებს გამოკვლევათა შედეგები, რომელიც მოაწყო შრომის ბაზრისა და დინამიკის ანალიზის კომპანიამ. როგორც ამბობენ, მათ ძალზე მოულოდნელი შედეგი მიიღეს.**



გამოკითხულთა 60 პროცენტმა აღიარა, რომ სამუშაოზე სხვა საქმესაც აკეთებენ, რაზეც მათ 1,7 საათი ეხარჯებათ, სტანდარტული სამუშაო დღე კი 8,5 საათია.

მოსამსახურეთა 34 პროცენტი სამსახურიდან იპარება ინტერნეტში „ჩასაჯდომად“.

20,3 პროცენტმა განაცხადა, რომ რადგან დატვირთულნი არ არიან საქმით, დროს კოლეგებთან „საუბარში“ კლავენ.

17 პროცენტი ცდილობს სამუშაო დროის შემცირებას პირადი საქმეებისთვის.

კითხვაზე, თუ რატომ კარგავენ სამუშაო დროს ტყუილ-უბრალოდ, თითქმის 18 პროცენტს მიაჩნია, რომ სათანადოდ არ უხდიან და ამას ასახელებენ თავიანთი „არაკეთილსინდისიერების“ ძირითად მიზეზად.

გამოკითხულთა 11,1 პროცენტმა კი თქვა, რომ მათ სამუშაოს არ სჭირდება ძალების დიდი დაძაბულობა, ამიტომაც ახერხებენ დროის „მოპარვას“.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ვკარგავთ თუ არა ჩვენც ძვირფას სამუშაო დროს?

### ყურები გავიწმინდოთ?



**ყური მოვკარი, რომ მაინც და მაინც სასარგებლო არაა ბამბიანი ჩხირებით ყურების წმენდა, ნუთუ ეს მართალია? — გვეკითხება ერთ-ერთი ჩვენი მკითხველი.**

**აი, რა გვიპასუხა ექიმმა-ოტოლარინგოლოგმა:**

— ბევრს მიაჩნია, რომ რაც უფრო ხშირად ვიწმენდთ ყურებს, რაც უფრო ღრმად, იმდენად უკეთესიაო. ეს ასე როდია. ჯანმრთელ ყურებში ჩვეულებრივად მიმდინარეობს სმენითი ხვრელების თვითწმენდის პროცესი ბუნებრივი ქმედებების დროს — ლაპარაკისას, ღეჭვისას, ხველებისა და ა. შ.

საჭიროა მხოლოდ ყურის ნიჟარის დასუფთავება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევიჭრათ სასმენ მილში. გოგირდი ჭუჭყი როდია, ამიტომაც არ შეიძლება მისი გულმოდგინედ გამოწმენდა (მით უმეტეს, ბამბიანი ჩხირებით). ასეთი წმენდის დროს გოგირდის მასას ვტენით დაფის აფსკისკენ, ის იპრესება, ამას კი მივყავართ გოგირდის საცობებამდე. აქ კი უკვე ექიმის ჩარევაა საჭირო.

### ჩახუტება დეპრესიას ხსნის



**ჩახუტება მარტო სასიამოვნო კი არა, სასარგებლოცაა, — აცხადებენ შვედი მეცნიერები. ამ მკვლევარების თქმით, ნაზ ჩახუტებას აქვს საუკეთესო სამკურნალო მოქმედება.** ამ დროს ტვინში აქტიურდება სიამოვნების ცენტრი, ხოლო იმ სისტემების მუშაობა, ტვინს ტკივილზე ან სტრესზე ინფორმაციას რომ აწვდიან, ნელდება. ამის გამო ადამიანი სწრაფად მშვიდდება, ტკივილის სპაზმები კი ქრება.



ადრე მედიკოსები აცხადებდნენ, სტრესი, დეპრესია და ქრონიკული ტკივილები, შეიძლება, მოვიშოროთ მედიტაციით, თუმცა ჩახუტება გაცილებით სასიამოვნო და ქმედითი მეთოდია.

### ხორცს კიბომდე მივყავართ?

**ბევრი დარწმუნებულია, რომ ხორცს ორგანიზმისთვის მხოლოდ სარგებელი მოაქვს, თუმცა ასე როდი ყოფილა. ბრიტანელმა მეცნიერებმა, უამრავი ექსპერიმენტი რომ ჩაატარეს, დაასკვნეს, რომ ხორცის გამოყენება ზრდის კიბოს განვითარების რისკს.**



როგორც მკვლევარები იტყობინებიან, კუჭის, შარდის ბუშტის, სისხლის კიბოს განვითარების რისკი იზრდება, თუ ადამიანის რაციონში ხშირადაა ხორცი. ბრიტანელი სპეციალისტების მონაცემებით, იმ ადამიანებს, ხორცს. რომ არ იყენებენ, დაავადების შანსი 12 პროცენტით ნაკლები აქვთ.

ბრიტანელი მეცნიერები გვირჩევენ, თუ საერთოდ უარს არ ვიტყვით ხორცზე, მაქსიმუმამდე მაინც შევამციროთ მისი გამოყენება.

### აბა, ყველანი სამკუთხედად დავსხდეთ!

**ალჟირის ყველაზე ორიგინალური ბაზარი არა მარტო საჰარაში, არამედ მთელ მსოფლიოში უცნაურობით გამორჩეულ ქალაქ ბენ-ისტენშია. ლეგენდის თანახმად, უცხოელთაგან არავის — არც სხვა ქალაქის მცხოვრებს, არც, მით უმეტეს, უცხოელს — ბენ-ისტენში ღამის გათევის უფლება არ აქვს.** ყოველ საღამოს ქალაქის შესასვლელი კარი საგულდაგულოდ ირაზება. ექსკურსიაზე წასვლა მხოლოდ ადგილობრივი გიდის თანხლებითაა ნებადართული. ქალაქის მცხოვრებთა ფოტოგადაღება აკრძალულია. აგრეთვე დაუშვებელია შორტებითა და მინიქვედაბოლოებით სიარული. ასევე უმჯობესია თამბაქო არ მოწიოთ.

ბაზარი კი ქალაქის ყველაზე დიდი უცნაურობაა: მყიდველები, ვინც კი ბაზარში შედის, დიდ სამკუთხედად სხდებიან, საქონლით ხელდამშვენებული გამყიდველები კი მათ შორის მიდი-მოდიან.

არადა, ბენ-ისტენის მეზობლად მრავალი თანამედროვე ქარხანაა, სადაც ახლომახლო მაღაროებში მოპოვებულ მადანს ამუშავებენ. აქ, შუაგულ უდაბნოში, თვალნათლივ ჩანს თანამედროვე მსოფლიოს კონტრასტები.

### პური გულს ვნებს



**უამრავი გამოკვლევა რომ მოაწყვეს, ისრაელის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისეთი პროდუქტების გადაჭარბებით გამოყენება, უხვად რომ შეიცავს ნახშირბადებს, უარყოფითად მოქმედებს გულის მუშაობაზე, ამის მაგალითია ყველასთვის კარგად ცნობილი ასეთი პროდუქტი — პური.** გამოკვლევების შედეგებმა აჩვენეს, რომ ამ პროდუქტის საკვებად გამოყენების შემდეგ ადამიანებს უუარესდებათ განწყობილება და უმაღლდებათ არტერიული წნევა.

მკვლევარები გვირჩევენ, შევამციროთ ნახშირბადებით მდიდარი პროდუქტების — პირველ რიგში კი თეთრი პურის და ხორბლის ფქვილით დამზადებული სხვა პროდუქტების გამოყენება.

უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## კადრი



## ანეკდოტები

ქალი ფეხბურთელივითაა — წევს, კვნესის, შენ კი ფიქრობ: სიმულანტობს თუ არა?

* * *

მიხო ეუბნება შაქროს:

— გუშინ საცოლეს დავცილდი.

— რათა, ჯო?

— გაიგე, ვიფიქრე, ვიდრე ცოლად შევირთავ, გულს ბოლომდე გავუხსნი. ჯერ ჩემი ძეიფების ამბები მოვუყევი, მერე მყრალი ხასიათის შესახებ ვუამბე. ის ჩუმად მისმენდა. ბოლოს კი ჩვენი ვირის ამბავიც რო მივაყოლე, იმან თვალები დააჭყიტა...



— მერე ადგა და თავად გაგეცალა?

— არა, ჯო, გამახსენდა, ცხოვრება მშვენიერია, ე თვალებგადმოკარკლული მაშო რაღა ჯანდაბად მინდა-მეთქი...

* * *

წინა პრეზიდენტის დროს რუსეთში არც კი იცოდნენ, ჰყავდათ თუ არა პრემიერ-მინისტრი, ახლანდელი პრემიერის დროს ზოგჯერ იმასაც ვერ იხსენებენ, ვინ არის პრეზიდენტი...

* * *

— ვანო, ყავა ხომ არ დაგველია?

— ძმაო, სიტყვაში „ღვინო“ ოთხი შეცდომის დაშვება როგორ მოახერხე?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
99-62-77;
899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.